# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 მარტი 2002 №39 (1561) | ფასი 50 თეთრი


# იმედი

## ნარჩემაშვილი კალაძეს ძმის დახსნას დაპირდა



*კახა კალაძის გახმაურებულ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში მძაფრი რეაქცია მოჰყვა. აღშფოთდა ხალხი და კვლავ ალაპარაკდა ხელისუფლება, თუმც კონკრეტული და საიმედო გატაცებული ლევან კალაძის თაობაზე არც ამჯერად არავის არაფერი უთქვამს.*

*თავად კახამ კი გუშინ ეს გვითხრა...*

— დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. არ მეგონა, კახა კალაძე საქართველოში ასე თუ უყვარდათ. თბილისში მშობლებს ერთი საათი ველაპარაკე და მათგან ყველაფერი გავიგე. გმადლობთ, გვერდში ამოდგომისთვის, ჩემი ოჯახის ტკივილის გაზიარებისთვის.

**— მშობლების გარდა არავისთან გისაუბრია?**

— წუხელ შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს ვესაუბრე. ძალიან დამაიმედა, ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ლევანი გამოჩნდება.

**— მინისტრს მეტი არაფერი უთქვამს?**

— კონკრეტული საუბრისგან, თანაც ტელეფონით, კობა ნარჩემაშვილმა თავი შეიკავა, თუმც დამარწმუნა, რომ ჩემი ძმა მალე გათავისუფლდება. დანარჩენი თავისთავად იქნება ნათქვამი, როცა ლევანი ოჯახში დაბრუნდება.

**— უკრაინიდან თუ შეგეხმიანენ?**

— ახლობლები თანამიგრძნობენ, ხშირად მირეკავენ.

**— უკრაინის ფეხბურთის ფედერაციიდან, კიევის „დინამოდან" არავინ დაგკავშირებია?**

— ორი კვირის წინ ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს ვესაუბრე, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებიო. ამაზეც მადლობელი ვარ.

**— იტალიაში როგორ გამოეხმაურნენ შენს განცხადებას?**

— გაკვირვებულები არიან, ათ თვეში გატაცებული როგორ ვერ დააბრუნესო. კლუბში გამარჯობის შემდეგ ძმის ამბავს მეკითხებიან, არაფერი ვიციმეთქი, რომ ვპასუხობ, გაოცებულებს ლაპარაკის სურვილი ეკარგებათ.

**— იმედი გაქვს, რომ საქმე მაისამდე მოგვარდება?**

— იმედი დიდი მაქვს. კობა ნარჩემაშვილის მსგავსად აქამდე რომ ემუშავათ, ჩემი ძმა კარგა ხნის დახსნილი იქნებოდა.

**კობა ინასარიძე**

# მადრიდი არაფრის ფერია



„დეპორტივომ" ლაკორუნიელებს სამეფო თასი 1995 წლის მერე პირველად ჩაუტანა



**ია ჯაფარიძე მადრიდიდან**

მადრიდი დილიდანვე დუღდა. ვგებ, მთელი ქალაქი არა, მაგრამ მაინც. ბოლოს და ბოლოს, მადრიდი დიდი ქალაქია და შეუძლებელია დუღილი მთლიანად მოსდებოდა. თუნდაც ვალეკანოს უბნისა ვთქვათ, სადაც „რაიოს" ქომაგობენ და „რეალის" იუბილესთან რა საქმე აქვთ. ცენტრში კი აშკარად იგრძნობოდა რაღაცის მოლოდინი და ეს რაღაც „სამეფო კლუბის" საუკუნოვან იუბილეს დამთხვეული სამეფო თასის ფინალი იყო.

არადა, საგანგებო მზადება არც ყოფილა — ჩვენთან საპირველმაისოდ რომ იყო, ისეთს ვგულისხმობ — მაგრამ თავშეყრის ადგილებში ჩვეულებრივზე ხშირად ახსენებდნენ „რეალს", ფინალს, „სანტიაგო ბერნაბეუს", უფრო იშვიათად, „დეპორტივოს", რომელსაც მადრიდში საზოგადოდ არც ახსენებენ ხოლმე. ასევე უფრო მეტნი მოჩანდნენ თეთრმაისურიანი მადრიდელები და დაკვირვებული თვალი არც იყო საჭირო აქა-იქ ლა კორუნიიდან ჩამოსული, მგზავრობით გადაღლილი, მაგრამ მაინც საბრძოლოდ თვალებანთებული ადამიანების შესამჩნევად — ეს იმ დღეს, თორემ მადრიდში ყოველდღიურად უამრავი ხალხი ჩამოდის და მათ ამოსაცნობად ვის სცალია, მადრიდი ხომ დიდი ქალაქია, მადრიდელები თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ და პროვინციელები არ აინტერესებთ.

ეს 6 მარტი იყო, გამორჩეული დღე მადრიდისთვის, თუმცა „რეალს" და „ატლეტიკოს" იმდენ ფინალში უთამაშიათ და იმდენი ჯილდო მოუგიათ, ალბათ, ასე უნდა ვთქვათ, მორიგი გამორჩეული დღე იყოო.

როგორ აღვწერო ის განწყობა, რაც დიდებულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" სუფევდა? მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შეუძლებელი იყო ადამიანს თუნდაც წამით გაევლო გუნებაში — რა მოხდება, „რეალმა" რომ წააგოს? რაღაც საყოველთაო ფსიქოზის მსგავსი ატმოსფერო იყო და „რეალის" დამარცხებაზე გაფიქრებაც კი საშინელ მკრეხელობად ჩაითვლებოდა.

მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" არის ჩრდილოეთის ტრიბუნაც, რომელზეც „დეპორტივოს" ქომაგები ისხდნენ...

პირველ გოლს გაოგნება არ მოჰყოლია, გაგვიტანეს — ორს გავუტანთ და მეორე გოლის მერეც ასეთივე განწყობა დარჩა. რაულმა ერთი საპასუხო რომ გაიტანა, სტადიონზე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „რეალი" მოიგებდა. თუმცა არა — ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ეპარებოდათ.

მერე თამაში დამთავრდა. მერე იყო... არაფერი. რაც იყო, გულგატეხილობას და იმედგაცრუებას ვერ დავარქმევ — სრული გამოფიტვა, სიცარიელე, არანაირი ემოცია. არა, მადრიდელები ემოციურები არიან, უბრალოდ, ვერ გაიაზრეს, რა მოხდა...

რამდენიმე ასეული ადამიანი სიბელესის მოედანზე მივიდა, „რეალის" გამარჯვებათა აღნიშვნის ტრადიციულ ადგილას, ოციოდე წუთი იდგნენ და სახლებში წავიდნენ.

არაფერი მომხდარაო, კი ვთქვით, მაგრამ როგორ არ მომხდარა — მეფემ „დეპორტივოს" თასი გადასცა და ჩრდილოეთ ტრიბუნაზე დაწყებული ზეიმი ლა კორუნიის ქუჩებში გაგრძელდა, მაგრამ მადრიდს ამასთან რა საერთო აქვს, მადრიდი ხომ თავისი ცხოვრებით ცხოვრობს...

იხილეთ მეოთხე გვერდი



ზინედინ ზიდანი ესპანეთის მეფე ხუან კარლოსმა ანუგეშა

# ჩვენც გვათქმევინეთ

## „ვიტ ჯორჯიამ“ ტყებუჩავას უპასუხა



გურამ რუხაძე და მალხაზ კაკაურიძე

*თითქმის სამი თვე იმუშავა გოჩა ტყებუჩავამ „ვიტ ჯორჯიაში“. ჩემპიონატის განახლებამდე ზომიერადაც დაემუქრა კონკურენტებს — ჩემი გუნდი ზეექვსეულში დაიდებს ბინასო, მაგრამ „ტორპედოსთან“ ნაგების შემდეგ მისი და „ვიტ ჯორჯიას“ გზები გაიყარა.*

*მერე მწვრთნელყოფილმა კლუბის ხელმძღვანელების მიმართ პრეტენზიები გამოთქვა, არც ვეტერინარები დარჩნენ ვალში და თავიანთი პოზიციის დაფიქსირება ითხოვეს. ქვემოთ გურამ რუხაძის, მალხაზ კაკაურიძისა და დავით ფირცხალაიშვილის ნაამბობს გაეცანით*

**გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი:** ჩვენ არ ვაპირებდით არანაირი კომენტარის გაკეთებას, მაგრამ ტყებუჩავას ინტერვიუ რომ წავიკითხეთ, გადავწყვიტეთ, ნათელი მოვფინოთ საქმის არსს.

მართალია ტყებუჩავა, როცა ამბობს, რომ „ტორპედოსთან“ მარცხის შემდეგ პრეზიდენტი უხასიათოდ დამხვდა. ერთი შეკითხვით მოგმართავთ — მოსამზადებელ ეტაპზე 70 ათასზე მეტი დოლარი რომ დახარჯოთ და უკან მობრუნებულმა თქვენმა გუნდმა პირველივე მატჩში უსახური და უპერსპექტივო თამაში გაჩვენოთ, როგორ ხასიათზე დადგებით?

მიუხედავად ამისა, ტყებუჩავასთან შეხვედრისას ვცადე დაძაბული სიტუაცია განმემუხტა — ფეხზე ღიმილით წამოვუდექი და ისე შევეგებე, ხელი ჩამოვართვი, გავამხნევე. არ მომეწონა ტყებუჩავას პირველივე სიტყვები — დღევანდელი თამაშის შემდეგ თქვენ გაქვთ სრული უფლება, მიიღოთ ნებისმიერი გადაწყვეტილება — თუმც ვცადე დამემშვიდებინა, ვუთხარი, რომ ერთი თამაშის მიხედვით არ ვაპირებდი არანაირი გადაწყვეტილების მიღებას. წინ კიდევ არაერთი მძიმე გამოცდა იქნებოდა ჩასაბარებელი. მეგონა, რომ ამის მერე დაძაბულობა გაქრებოდა, მაგრამ ტყებუჩავას ეტყობოდა, გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა. „თუ თქვენ არა, მაშინ მე მივიღებ გადაწყვეტილებას და გუნდიდან მივდივარ“ — მე ვერ ვაიძულებდი, დარჩენილიყო და არც გამიჩერებია. ტყებუჩავა დაგვემშვიდობა და წავიდა.

თურმე უპირობობას უჩიოდა მწვრთნელი, მაგრამ იმას არ ამბობს, რომ დანიშვნამდე ყველაფერი დეტალურად იყო შეთანხმებული. შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო, რომ საქართველოს კვალობაზე „ვიტ ჯორჯიაში“ ერთ-ერთი საუკეთესო პირობებია. ეს ეხება არა მარტო ეკიპირებას, არამედ, ანაზღაურებას, მომზადებას.

„ვიტ ჯორჯიამ“ ტყებუჩავას ყველა პირობა შეუსრულა, უმნიშვნელო დეტალებიდან დაწყებული სხვა სერიოზული მოთხოვნებით დამთავრებული. ტყებუჩავას პერსონალური მანქანაც კი ვაახლეთ.

ახლა ის ლაპარაკობს სპექტაკლზე, მაგრამ ანთალიაში, მის მიერ მოწყობილ სპექტაკლებზე არაფერს ამბობს — მეც სულ ახლახან გავიგე, მაგრამ მაინტერესებს, რად დაუმალა ტყებუჩავამ საქართველოს რუმინულ „ასტრასთან“ ხუთი უპასუხო გოლით დამარცხება? ანაც ჩიტის „ლოკომოტივთან“ ბუცები რომ მოირგო და სათამაშოდ გავარდა, იმიტომ ხომ არ წააგო ორი ბურთით? სწორედ მაშინ ჩატყდა მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის ხიდი.

ანთალია არ მოსწონებია ტყებუჩავას, მაგრამ მინდა, გოჩას შევახსენო, რომ მისი მოთხოვნით ჩაიშალა შეკრება იტალიაში. ლიგურიის ზღვის სანაპიროზე, სან რემოს მახლობლად, მასპინძლები მყუდრო გარემოს და სერია A-ს გუნდებთან გვთავაზობდნენ სპარინგ-მატჩებს. ანთალიური „მარმარა ბელიზ ცენტრი“ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, სადაც მოსკოვის „სპარტაკი“, ავსტრიული „შტურმი“ და სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი კლუბები ჩერდებიან. სამწუხაროდ, „ვიტ ჯორჯია“ ჯერჯერობით ფინანსურად იმ დონეზე არ დგას, ტყებუჩავასთვის მთელი სასტუმრო დაექირავებინა. სასტუმროში ტურისტები იქნებოდნენ და ხალისიც არ შეწყდებოდა, აბა, ანთალიაში რად მიდიან?

როგორც ახალ კაცს, რჩევას ვაძლევდით, თორემ მის კომპეტენციაში არავინ ჩარეულა. ასე რომ მომხდარიყო, იგი ალბათ პლეიმეიკერად ვერ დააყენებდა. არადა, „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ ალბათ გამთამაშებლად გამწესება ყველამ (ჟურნალისტმა და სპეციალისტმა) შეცდომად მიიჩნია.

კი, ერთი მოედანი გვაქვს, მაგრამ მცირე ზომის მიუხედავად, წვრთნა მეორე მოედანზეც შეიძლება. წილისხაფარიანი სავარჯიშოც მალე იქნება მზად. მერე სტანდარტული, ბალახის მეორე მინდორიც გვექნება. ტყებუჩავას პერსპექტივის არ უნდა შინებოდა, მაგრამ ცდილობს, არაორგანიზებული და ქაოსური მოსამზადებელი ეტაპი გაამართლოს.

**მალხაზ კაკაურიძე, „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მდივანი:** სამი თვე იმუშავა ჩვენთან და ჩემი თანამდებობის ... და- იმახსოვრა, მაგრამ ეგ არაფერი. მე ვაღიარებ, რომ ტყებუჩავას ხოგჯერ ვაწუხებდი, მაგრამ ... არ მომსვლია მის კომპეტენციაში ჩარევა ... ლიყავი: „გოჩა, კიდევ რა სჭირდება გუნდს, პირობები როგორ გაგიუმჯობესოთ“ — აი, ეს იყო ჩემი საწუხარი.

თურქული აბანო, საუნა, აუზი ნებისმიერ დროს, ტრენაჟორები, სამჯერადი კვება და „ოლლი ექსკლუზივი“ (უფასო ფუნთუშეული და გამაგრილებელი სასმელები) — ამას ეძახის ტყებუჩავა ცუდ პირობებს. მოედანი არ მოეწონდა, სინამდვილეში ორი, სავარჯიშოდ ძალიან კარგ მდგომარეობაში მყოფი მოედანი მის განკარგულებაში იყო.

ჩვენს ფეხბურთელებს პრემიალურები 500-700 ლარამდე აქვთ. ზოგიერთ პრინციპულ მატჩში უფრო მეტიც. ფეხბურთელებმა შესაძლებლობების 70 პროცენტამდე რომ გამოავლინონ, მაშინ თვეში დაახლოებით 2 ათას ლარამდე ანაზღაურება გამოუვათ. მგონია, საქართველოში ასეთ პირობას ცუდი არ ეთქმის.

**დავით ფირცხალაიშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ მენეჯერი:** გოჩას ბავშვობიდან ვიცნობ და ვცდილობდი, ყველანაირად დავხმარებოდი. გუნდში რომ მოვიდა, არც ერთ ფეხბურთელს არ იცნობდა. ჩვენ ჩვენს აზრს ვუზიარებდით.

26 ფეხბურთელი წაიყვანა ანთალიაში და ბოლო ვარჯიშებზე მხოლოდ 8 მათგანი იღებდა ოფლს. 17 ფეხბურთელი ტრამირებული ჰყავდა.

გუნდის თეორიული მეცადინეობიდან დავითხოვეთ, რომ ამბობს, თეორიაზე მე რა მესაქმებოდა, ჩიტის „ლოკომოტივთან“ მარცხის შემდეგ გუნდის კრება იყო და მეც რა თქმა უნდა, ვესწრებოდი.

ტყებუჩავას ერთადერთი სიმართლე ის არის, რომ მართლა უნდა დაეჯერებინა იმ ხალხისთვის, ვინც ჩვენთან მოსვლას უშლიდა. მისი კვალიფიკაციით „ვიტ ჯორჯიაში“ გამწვრთნელება მისთვის ნაადრევი იყო.

**გამუკა კვანტალიანი**

# ჩუტ, ჩუტ და ხაროში...

## მე ვარ კარნევალი, მაშასადამე, ვიტელი

**გუშინ „ვიტ ჯორჯიაში“ ახალი მწვრთნელი დაინიშნა. იტალიიდან ბუქარესტში, იქიდან სტამბოლში ნამგზავრი ჯანი კარნევალი საქართველოს გამთენიისას ეწვია. შუადღისას კი გუნდის ვარჯიშზე იყო – ფეხბურთელებს გულთბილად ესალმებოდა.**

**კარნევალი „ვიტ ჯორჯიას“ შარშან 30 სექტემბერს „კოლხეთთან“ მატჩის შემდეგ დაშორდა. ახლა დაბრუნდა და წინ ისევ „კოლხეთთან“ მატჩია. ვეტერინარები კი რთულ დღეში არიან, ზეექვსეულში მოხვედრის შანსი ძალიან მცირეა.**



**კარნევალი ათიოდე წუთს ესაუბრა ვიტელებს, მერე პირველი ვარჯიში ჩაატარა და საკმაოდ დაღლილმა დრო ჩვენთვისაც გამონახა...**

**— სინიორ ჯანი, როდის გადაწყდა „ვიტ ჯორჯიაში“ თქვენი მწვრთნელად დაბრუნება?**

— მე ხშირად ვურეკავდი კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს. ორშაბათს შევიტყვე, რომ გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა და ჩემი სამსახური შევთავაზე. გუშინწინ ყველაფერი გადაწყდა, გზას დავადექი და ახლა თქვენ გისმენთ.

**— როგორ გგონიათ, მოხვდებით ზეექვსეულში?**

— სამი უპრინციპულესი თამაში გველის. ქულათა მაქსიმუმს თუ დავაგროვებთ, მჯერა, მიზანს მივაღწევთ, თუმც „კოლხეთთან“ თამაში სტუმრად ძალიან ძნელია.

**— თქვენ უკვე ავარჯიშეთ „ვიტ ჯორჯია“. როგორია პირველი შთაბეჭდილება?**

— ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, დღეს მხოლოდ მსუბუქი ვარჯიში იყო. ბიჭებმა ოფლი მოიღვრეს, ზოგს არც უვარჯიშია, ასე რომ, მათი მზადყოფნისა და მომზადების შესახებ დასკვნებს მოგვიანებით გავაკეთებ.

**— ზეექვსეულში რომ ვერ შეაღწიოთ?**

— მაშინ თასისთვის ვიბრძოლებთ და ვეცდებით, ფინალში გავიდეთ. დღეს გუნდის ყველაზე დიდ პრობლემად მოძალებული ტრავმები მიმაჩნია, თუმც სათასო გრაფიკი გარკვეულ დროს გვაძლევს და ამას ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ.

**— „ვიტ ჯორჯიას“ დიდი ხნით დაუბრუნდით?**

— მე წასულიც ვიტელი ვიყავი, კლუბის მენეჯერობა მევალებოდა. მწვრთნელად სულ მცირე, სეზონის ბოლომდე დავრჩები, მერე კი კლუბის თავკაცებთან მოვილაპარაკებთ და ამის მიხედვით გადაწყდება ყველაფერი.

**— სინიორ კარნევალი, თუ საიდუმლო არ არის, რაზე ესაუბრეთ განცალკევებით ვიტელებს?**

— მათთვის მე უცხო არ ვარ და ჩემი შეხედულებებიც კარგად იციან. ბევრს და შეუძლებელს არაფერს მოვითხოვ — სერიოზულობა, დისციპლინა და ვარჯიშზე თუ თამაშზე ბოლომდე დახარჯვა.

გუნდი ერთი სწორი ხაზია — სათავეში პრეზიდენტი, მერე მწვრთნელი მოდის, შემდეგ ფეხბურთელები და ტექნიკური პერსონალი. გუნდი ერთიანი უნდა იყოს, ერთმაც თუ გადაუხვია ხაზიდან, აუცილებლად მოიშლება მექანიზმი. ეს ავუხსენი ფეხბურთელებს და, მგონი, გამიგეს.

იტალიელი არ შეცვლილა, ან რა შეცვლიდა ასეთ მოკლე დროში — პრობლემა ჩუტ, ჩუტ, ფეხბურთელები ხაროში — პერსპექტივას კი მომავალი გამოაჩენს.

**დათო დანელია**

# ფეხბურთის სუფრას ბორჯომი მოაკლდა

*პირველლიგელმა ბორჯომის „თორმა“ რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა საშემოდგომო ეტაპი.*

*ქართული კლუბებისთვის ასე „ახლობელ“ პრობლემას, უფულობას ვინ ჩივის, ბორჯომელებს პირველი ეტაპის არც ერთი მატჩი შინ არ უთამაშიათ. „თორის“ სტადიონი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა საჭირო მოთხოვნებს. პოდა, გაჭირვებულ-გალატაკებული „თორი“ უმეტესად ხაშურში, „გრიგოლ ჯომართიძეზე“ „მასპინძლობდა“ მეტოქეებს.*

*ამას დაუმატეთ ფედერაციაში შესატანი თანხა, რომელიც სრულად ჯერაც არ არის გადახდილი. გორის „დილასთან“ მატჩში კი „თორმა“ შვიდი ფეხბურთელით(!) ითამაშა.*

*ამიტომაც გასაკვირიც არაა, რომ ბორჯომული კლუბი ყველასთვის იოლი ლუკმა იყო და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დალექილი უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდა.*

*ყველაფერს წერტილი რამდენიმე დღის წინ, ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე დაესვა — „თორი“ დაიშალა.*

*ბორჯომის „თორის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელ კობა თედიაშვილს და ყოფილ პრეზიდენტს იური ოგანეზოვს გუნდში მომხდარ ამბებზე გავესაუბრეთ.*

**კობა თედიაშვილი:** გუნდიდან მესამე-მეოთხე ტურის შემდეგ წავედი. ფაქტობრივად, ჩემს მუშაობას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც გაცლა ვარჩიე.

**— თქვენს მერე ვინ წვრთნიდა „თორს“?**

— ახალი მწვრთნელი არ დაუნიშნავთ. გუნდს ტექნიკური დირექტორი ვახტანგ მაისურაძე ამზადებდა.

**— გუნდს ვინ აფინანსებდა?**

— სპონსორი ან მეპატრონე „თორს“ არ ჰყოლია. გუნდის შენახვას შეძლებისდაგვარად რაიონის გამგეობა ცდილობდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. ფაქტობრივად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მხოლოდ ფორმების შეძენა შევძელით. დღემდე ვერ გამიგია, გუნდი როგორ არსებობდა. ხან ვინ გაიღებდა მოწყალებას და ხან ვინ.

**— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტადიონის წესრიგში მოყვანაც ვერ შეძელით...**

— დიახ. ესეც დამატებითი პრობლემა იყო. ფაქტობრივად, ყველა მატჩი სტუმრად ჩავატარეთ. ამაშიც ფული გვეხარჯებოდა... აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად აღმოჩნდა „თორი“ ბოლო ადგილზე.

**— და გუნდი დაიშალა...**

— მართალია, ეს ცუდია, მაგრამ მერწმუნეთ, სხვა გზა აღარ იყო. ფეხბურთელები იგივე პირობებში თამაშს ვერ შეძლებდნენ. ბიჭებიც თავიანთ გზას დაადგნენ. ახლა, როგორც გავიგე, სტადიონის მოწესრიგებას აპირებენ. ის ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა.

**იური ოგანეზოვი:** „თორს“ ძალიან უჭირდა. მეც მეტი ველარ შევძელი. ბოლო რამდენიმე თვეა, რაც გუნდიდან წავედი.

**— თქვენი პრეზიდენტობის დროსაც ასეთივე ვითარება იყო?**

— ასეთი არა, მაგრამ დალხენილებიც არ ვიყავით. ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ბიჭებისთვის მდგომარეობა შემემსუბუქებინა. ფაქტობრივად, გუნდი სამი წლის განმავლობაში დიდი წვალებით შევინახე. ამაში მეგობრებიც მეხმარებოდნენ, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შევძელი. ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა და მეც გუნდი დავტოვე, თუმც აქამდე დირექტორატის წევრი მაინც ვიყავი.

**— რაიონის გამგეობა არ გეხმარებოდათ?**

— არა. ამას დახმარებას ვერ დავარქმევ. ფულს ვინ ჩივის, უბრალოდ, ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, გამგეობასაც რა უნდა გაეკეთებინა? მაგრამ, ალბათ, მცირედენ ყურადღებას მაინც ვიმსახურებდით.

**— ფეხბურთელებს როგორ აჩერებდით? დამეთანხმებით, ამ ხნის განმავლობაში უხელფასოდ თამაში შეუძლებელია...**

— ხელფასებს შეძლებისდაგვარად კი ვარიგებდით, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო, ფაქტობრივად, სიმბოლური თანხა.

**— თქვენს მერე ვინ ითავა გუნდის ხელმძღვანელობა?**

— გამგეობამ და რაიონის დეპუტატმა ნოდარ გრიგალაშვილმა გადაწყვიტეს „თორის“ პატრონობა, მაგრამ ამას რაც მოჰყვა, თქვენც კარგად იცით. გუნდი დაიშალა. გული კი მწყდება, მაგრამ მე მეტი აღარ შემიძლია.

**ბაჩა ზალამბერიძე**


**ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „მარდი“ თანაუგრძნობს გაიოზ დარსაძეს დედის**

**ვენერა ერაძის**

**გარდაცვალების გამო**


**გერმანია**

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIV ტური

დარმშტადტი 3:1 ბურგჰაუზენი

**ბელგია**

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბევერსხოტი — სტანდარდი გადაიდო

**საფრანგეთი**

მეორე დივიზიონი. XXXI ტური

ამიენი 2:0 ლე ავრი

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 7 მარტი

**G ჯგუფი**

პანათინაიკოსი 85:67 ოლიმპია

ოლიმპიაკოსი 75:69 აეკ

**F ჯგუფი**

კინდერი 72:61 ურალ გრეიტი

ეფესი 63:67 რეალი

**E ჯგუფი**

ბენეტონი 96:90 სკიპერი



# გრეგორი გაოფლილ ქინქლაძეს აფასებს

## ვინც გენდობა, არ გააწბილო

*ინგლისურ პრემიერლიგაში თითქმის სამი თვის უთამაშებელი გიორგი ქინქლაძე კვლავ გამოჩნდა გავარდნის პირას მყოფ „დერბის" ძირითად შემადგენლობაში. მართალია, ამჟამად ქართველი ნახევარმცველი ჩვეულ სათამაშო ფორმაში არაა, მაგრამ გუნდისთვის, ჩანს მაინც სასარგებლოა და, რაც მთავარია, „დერბის" ახალდანიშნულ მწვრთნელ ჯონ გრეგორის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მივიდა „დებიში" ლამაზი ფეხბურთის მიმდევარი მწვრთნელი და ქინქლაძესაც, რომელიც კოლინ ტოდის თავკაცობისას სათადარიგოთა სკამს ვერ ცდებოდა, ხელ-ფეხი გაეხსნა. გრეგორი დანიშვნისთანავე ესაუბრა ქართველ ფეხბურთელს და დაამედა, გუნდს ცოტას შევეჩვევი და ძირითად შემადგენლობაშიც გათამაშებო. მწვრთნელი ერთი-ორი ტურის შემდეგვე გაერკვა დერბელთა შესაძლებლობებში და აგერ, ჩვენებურ გამთამაშებელსაც მისცა გასაქანი.*



— მადლობელი ვარ გრეგორის, თავის გამოჩენის შანსი მომცა და მგონი, არ გავაწბილე, რასაც მავალებს, ვუსრულებ. ადრეც მითხრა, შენნაირი სტილის ფეხბურთელებისთვის ჩემს გუნდში ყოველთვის არის ადგილი, ცოტაც მოლონიერდი და ძირითადში გათამაშებო. შესრულა კიდეც სიტყვა.

**— კი, მაგრამ, ყოველ მატჩში გცვლის. ფიზიკურ დატვირთვებს ვერ უძლებ?**

— ასეც არის. სამი თვე, ფაქტობრივად, არ მითამაშია და ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. პრემიერლიგაში ხომ საოცარი ტემპია. ისე კი, „ლესტერთან" სტუმრად 3:0 რომ გავიმარჯვეთ, გრეგორიმ მაშინ გამომცვალა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. „მანჩესტერთან" მართლაც ძალიან დავიღალე, თუმცა, ვფიქრობ, ჩემი საქმე გაკეთებული მქონდა. „არსენალთან" კი მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, ფეხის ტკივილმა რომ შემაწუხა და შეცვლა თავად ვითხოვე.

**— ამ სამი მატჩის შემდეგ მწვრთნელთან პირისპირ თუ ისაუბრე? კმაყოფილია შენი თამაშით?**

— კმაყოფილი რომ არ იყოს, რატომ მათამაშებდა? ვატყობ კიდეც გრეგორის, ჩემი იმედი აქვს. პირისპირ კი აღარ გვისაუბრია, რა საჭიროა, გრეგორიმ რაც მითხრა, გააკეთა. ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას ვიბრუნებ და ეს ვარჯიშზე თავადაც რამდენჯერმე, სხვების გასაგონად აღნიშნა.

**— სათამაშო ფორმის პიკს როდის მიაღწევ? პრემიერლიგის დასრულებამდე ბევრი არ დარჩა.**

— გრეგორის თხოვნით, ინდივიდუალური პროგრამით ვცდილობ ფორმის მალე აღდგენას. ფაქტობრივად, მთელ დღეს მოედანზე ვატარებ. გუნდის ვარჯიშამდე ერთი პირი ოფლი მოღვრილი მაქვს. მერე გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, შუადღისას ცოტას ვისვენებ და სალამოხანს მინდორზე ისევ მარტო ვრჩები.

**— განსაკუთრებული რეჟიმი გაქვს...**

— კი, ასეა, როცა გუნდი ისვენებს, მე ვვარჯიშობ. მწვრთნელს, როგორც ვთქვი, ვატყობ, ჩემი იმედი აქვს და ვცდილობ, არ ვუმტყუნო.

**— შეინარჩუნებს „დერბი" წლეულს პრემიერლიგაში ადგილს? აქვს გუნდს ამისი ძალა?**

— ვნახოთ, 9 ტური კიდევ დარჩა, გასავარდნთა ზონაში კი 5-6 გუნდია და დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. ჩვენ თუ ასე გავაგრძელეთ, ვფიქრობ, დავრჩებით პრემიერლიგაში, შეგვწევს ძალა და რეალურად რამდენიმე გუნდზე კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ. გრეგორის ცოტა დრო სჭირდება, ტოდის არეულ-დარეული გუნდი თავისებურად რომ გადააწყოს.

**— პრემიერლიგის ფავორიტად ვის მიიჩნევ?**

— ერთაბაშად ოთხ გუნდს კი აქვს ჩემპიონობის შანსი, მაგრამ მათგან მაინც „არსენალს" გამოვარჩევ. ძალიან კარგი გუნდია, თუმცა ინგლისში ხომ ხშირია მოულოდნელობა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „მანჩესტერს" „დერბი" დააკარგვინებდა ორ ქულას. მსაჯმა ნაღდი გოლიც არ ჩაგვითვალა, თორემ ლიდერს მთლად უქულოდ გავისტუმრებდით. „არსენალიც" ფრთხილად უნდა იყოს, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგოს, რასაც „ლივერპული", „მანჩესტერი" და „ნიუკასლი" არ აპატიებენ.

**— თავად რას აპირებ, დარჩები „დერბიში"?**

— კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს მიმთავრდება. ახლა ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, გრეგორი კარგი თვალით მიყურებს და „დერბიდან" წასვლის სურვილი გამინელდა. ეს სეზონი რომ დამთავრდება, მერე ვნახოთ.

**— მამის დაყაჩაღების ამბავი როდის შეიტყვე?**

— „არსენალთან" მატჩის შემდეგ შინ დავრეკე და მაშინ მითხრეს. მანქანისა და ბეჭდის გულისთვის კაცის მოკვლა შეიძლება? ღმერთმა გადაგვარჩინა.

**ქობა ინასარიძე**



გიორგი ქინქლაძე „დერბის" სასტარტოს გაუშინაურდა

# კახა კალაძის დანაშაული

## საქართველოში იბადებოდნენ...

**თავდაპირველად** ერთ ამბავს გავიხსენებ. საახალწლოდ მილანიდან შინ მობრუნებული კახა კალაძე, როგორც წლის საუკეთესო ფეხბურთელი და იმავდროულად სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული რეფერენდუმის ლაურეატი, სხვა სახელოვან ქართველ სპორტსმენებთან ერთად, დაჯილდოების ცერემონიალზე „შერატონ მეტეხი პალასში" მოვიწვიეთ. ალიარებისთვის და მიწვევისთვის მადლობა შემოგვითვალა და ერთი თხოვნაც მოაყოლა: აუცილებლად გეახლებით, ოღონდ დიდხანს ვერ დავრჩები და ამის გამო ნუ მიწყენთო. მიზეზი არ დაუკონკრეტებია და არც არავინ ჩასძიებია, თუმცა რა მიხვედრა უნდა: აგერ უკვე წელიწადი იწურება, კახა კალაძეს, სახელოვან და დაფასებულ ფეხბურთელს, არ ეღხინება და ეზეიმება. პატივისმცემელ-დამფასებელთა შორის, უწინარესად, ფეხბურთის გულშემატკივრებს ვგულისხმობ, თორემ ჩვენს არხეინა ხელისუფლებას, ვინც ქვეყნის პატრონობა იკისრა და საჯარო კონსტიტუციური ფიციც დადო, გულისტკივილისა, სამწუხაროდ, არაფერი ეტყობა. თავი ისე უჭირავთ, თითქოს რაც ამ ქვეყანაში ხდება, ყველას ბრალია, გარდა თავად ხელისუფლებისა. არადა, ამ ქვეყანაში ძალიან ცუდი და შემაშფოთებელი ამბები ხდება. ერთი ასეთი ამბავი კალაძეების ოჯახს შეემთხვა. დღისით-მზისით გაიტაცეს და გადამალეს ახალგაზრდა კაცი, კახა კალაძის უმცროსი ძმა და იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ადამიანთა დატყვევება „ჩვეულებრივ" მოვლენად იქცა, ამ კონკრეტულ ფაქტს, გასაგებ მიზეზთა გამო, განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა. ამ სამწუხარო და სავალალო ისტორიაში ყველაზე თავზარდამცემი სწორედ ის არის, რომ ეჭვმიტანილთა შორის თავად ხელისუფლებასაც მოიხსენიებენ, ხელისუფლების კორუმპირებულ და ფულზე დაგეშილ ნაწილს, რომელსაც ჰყოფნის სითამამე სრულიად საქართველოს დაუპირისპირდეს.

კახა კალაძის გუშინწინდელი გახმაურებული განცხადება სხვა არაფერია, თუ არა პროტესტი სახელმწიფოსა და ხელისუფლების მიმართ. ამ პროტესტს და გულისწყრომას უამრავი კეთილი ნების ადამიანი უერთდება და არა მხოლოდ საქართველოში.

კახა კალაძემ პროტესტის ასეთი ფორმა ირჩია და ეს არის უკიდურესად შეურაცხყოფილი და ჩვენი ცხოვრების რეალობით შეძრწუნებული ადამიანის გულისძახილი.

კახას არაფერი „დაუშავებია" გარდა იმისა, რომ თავისი საქმე კარგად აკეთა და ქართულ ფეხბურთს, სრულიად საქართველოს ემსახურა და სახელი გაუთქვა.

ნუ ვაფიქრებინებთ ამ კაცს, მისი კიდევ ერთი დანაშაული ის არის, რომ საქართველოში დაიბადა. ნუ გადავალგმევინებთ უკიდურეს და საბედისწერო ნაბიჯს. ნუ ავაღებინებთ ხელს საქართველოზე და ქართველობაზე.

**ელგუჯა ბერიშვილი**


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს
### გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


# მესმის, მესმის ხმა გორგილთა — ზირაქიშვილს ამხსნა

## გო გუჩი, გო!

**ქუთაისის „ტორპედოდან"** აბარგებულმა ვალტერ გუჩუამ მეცამეტე ეროვნულის მეორე ეტაპი ფოთის „კოლხეთში" დაიწყო. მანამდე მას ამერიკის მეიჯორ-ლიგის „დალასის" ვარიანტი გამოუჩნდა, აშშ-ს საელჩოშიც წარმატებით გაიარა გასაუბრება, მაგრამ ოკეანის გაღმა გამგზავრება მიზეზთა გამო ჭიანურდებოდა.

ახლა კი გუჩუას „კოლხეთიდან" მოუწევს წასვლა, რადგან ხვალ-ზეგ მას ამერიკაში ელიან. შეუპოვარი თამაშით სახელდაგდებული ქართველი ფეხბურთელი, თუ თვითონ არ გადათქვა, ხვალ გაემგზავრება დანიშნულების ადგილას. „დალასში" მას ჯერ გასინჯავენ, თუ ჩვენებური წარმატებით გაივლის ტესტირებას, მერულა მიუსხდებიან მაგიდას მხარეები მოსალაპარაკებლად.

ალბათ ყველას აინტერესებს, თუ სად გააგრძელებს კარიერას თბილისის „დინამოსგან" დისკვალიფიცირებული ზაზა ზირაქიშვილი. როგორც არაოფიციალური ინფორმაციით შევიტყვეთ, კლუბმა საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს ახლახან ნება დართო, უცხოეთის კლუბებში საკონტროლო-ამხანაგური მატჩები ითამაშოს. ასე რომ, ზირაქიშვილს ხელ-ფეხი გაეხსნა და მეტი შანსიც გაუჩნდა, მალე იპოვოს ახალი გუნდი.

**დავით თაგართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი

# სამეფო თასის ფინალი

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი. 75 000 მაყურებელი

## რეალი 1:2 დეპორტივო

0:1 სერხიო (6), 0:2 ტრისტანი (38), 1:2 რაული (58)
გაფრთხილება: მაურო სილვა, იერო, ვიქტორი, სოლარი, ფრანი, ელგერა, მოლინა

სესარი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი (სოლარი 46), ელგერა, მაკელელე, ფიგუ (მაკმანამანი 82), ზიდანი, რაული, მორიენტესი (გუტი 68)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

მოლინა, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, მაურო სილვა, ფრანი (კაპდევილა 83), სკალონი, სერხიო, ვიქტორი (ჯალმინია 86), ვალერონი (დუშერი 62), ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

*მოდით, თავშივე ვთქვათ, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა — მადრიდის „რეალმა" ტრადიციულად წააგო. განვმარტოთ: საფეხბურთო კლუბმა „მადრიდმა" (მაშინ სამეფო კლუბის ტიტული ჯერ არ ჰქონდა) თავისი პირველი ოფიციალური მატჩი „ბარსელონასთან" 1902 წლის 13 მაისს წააგო, 50 წლის მერე, ანუ ნახევარსაუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად გამართულ მატჩშიც, იმ დროისთვის სახელგანთქმულ სამხრეთამერიკულ „მილიონიარსთანაც" დამარცხდა და აგერ, ორი დღის წინ, საუკუნოვან იუბილესაც მარცხით შეხვდა...*

# რა მოხდა?

## რეალმა ტრადიციულად წააგო!



REUTERS მადრიდიდან

მადრიდელებმა წაგების საშიშროება იგრძნეს და ნერვებმა უმტყუნეს

არადა, ყველაფერი მე-18 სამეფო თასის მოგებისკენ მიდიოდა, ფინალის წინა ამბებზე მოგახსენებთ. ჯერ იყო და, ფლორენტინო პერესი, მადრიდელთა პრეზიდენტი, ფეხბურთის ფედერაციას სეზონის დასაწყისშივე შეუთანხმდა, ფინალი ჩვენს დღეობაზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩავატაროთო. ცხადია, პერესს გუნებაში ის ჰქონდა, რომ ფინალის ერთი მონაწილე მისი „რეალი" იქნებოდა. მეტიც, კატეგორიულად მოსთხოვა მწვრთნელს თასის მოგება. ამასთან დაკავშირებით ორი ამბავი შეგვიძლია გავიხსენოთ. როდესაც თასის ნახევარფინალის პირველი მატჩის წაგების მერე (1:2) საპასუხოში „ბილბაოს" 3:0 მოუგეს, ვისენტე დელ ბოსკემ აღიარა, ეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო ამ სეზონშიო. არადა, „რეალს" ამ სეზონში „ბარსელონა" და „რომა" ჰყავდათ დაჯაბნილი, მწვრთნელმა კი სათასო მატჩი გამოარჩია. მეორე ამბავი კი წინა კვირისაა — გეხსომებათ, „რეალი" „პორტუს" სალიგო შეხვედრაში მეორე შემადგენლობით ესტუმრა. რაულმა, ზიდანმა და რობერტო კარლოსმა თასის ფინალისთვის კარგად დაისვენონო.

ბოლო ხანია, ცხადია, არც ფლორენტინო პერესი მჯდარა გულხელდაკრეფილი, უამრავი საქმე გააკეთა — მთელ მსოფლიოში საფინალოდ მოსაწვევები დააგზავნა. ფოიერვერკი შეუკვეთა, მატჩის წინ კონცერტიც დაგეგმა, მოკლედ, თავისი გასაკეთებელი საქმე პირნათლად შეასრულა. მართალია, ხალხი წინდაწინვე გააფრთხილა, რაკილა იუბილე მნიშვნელოვან მატჩს „დაემთხვა", რაიმე განსაკუთრებულ ზეიმს ნუ ელოდებით, ამას სამომავლოდ მოვაწყობთო, მაგრამ აბა, ვინ დაუჯერებდა. ჰო, აქვე აღვნიშნოთ, რომ სამეფო თასის დაარსებიდანაც ერთი საუკუნე გავიდა.

თავად თამაში კი ისეთი გამოდგა, ფინალს და ორმაგ იუბილეს რომ შეეფერება, ოღონდ მადრიდელთათვის კარგი არაფერი მოუტანია. „დეპორტივომ" გაიხსენა, რომ ისტორიაში ერთადერთი თასი 1995 წელს სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოიგო და ეს სარბიელი მისთვის ფეხბედნიერია. ამიტომაც თავიდანვე გაამფთრებით შეუტია და შედეგი მეექვსე წუთზევე მოიმკო — სერხიომ მასპინძელთა კაპიტანი ფერნანდო იერო მოატყუა და მეკარე სესარსაც ფეხებშუა გაუტარა ბურთი.

„რეალი", ცხადია, გაოგნდა, რაც გაშმაგებამ შეცვალა. გაშმაგებას კი საპასუხო იერიშები მოჰყვა და ერთ მომენტში გადაჭედილმა „სანტიაგო ბერნაბეუმაც" ამოიოხრა — ზინედინ ზიდანის თავური ხარიხას მოხვდა.

მაგრამ „დეპორტივო" ხომ ცნობილი კერკეტი კაკალია, ხუთკაციანი ნახევარდაცვა მოკლე პასებით ცდილობდა ბურთის შენარჩუნებას, უკან კი მცველები იდგნენ გმირულად. პირველი ტაიმის დასრულებამდე კი ყოვლად წარმოუდგენელი (მადრიდელთათვის) რამ მოხდა, ხუან კარლოს ვალერონი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კარისკენ ჩააწოდა, იქ, სადაც დიეგო ტრისტანი ეგულებოდა, ტრისტანი კი ასეთ მომენტებს, მოგეხსენებათ, არ აფუჭებს — 2:0 „დეპორტივოს" სასარგებლოდ. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რაც ცოტა ადრე უნდა გვეთქვა — პირველი გოლისას სერხიომ სწორედ დიეგო ტრისტანისგან მიიღო პასი.

აბა, საიდან უნდა ვიცოდეთ, რა ხდებოდა შესვენებისას „რეალის" გასახდელში, მაგრამ წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, შეცვლაც ყველაფერზე მიგვანიშნებს — ფრანსისკო პავონის ნაცვლად დელ ბოსკემ სანტიაგო სოლარი შეუშვა, რითაც თავდასხმა გააძლიერა და ზურგი მეტისმეტად რომ არ მოშიშვლებოდა, რასაც „დეპორტივო" უთუოდ თავის სასიკეთოდ გამოიყენებდა, ივან ელგერა ოდნავ უკან დასწია. ხავიერ ირურეტამ კი თავის გუნდში შესვენებისას ცვლილებები არ ინდომა.

თამაში განახლდა და მასპინძლებმა საკუთარ კარში კინაღამ მესამე ბურთი იხილეს — ვალერონმა ორი მადრიდელი მცველი გააბითურა, თუმცა მიზანმაც უმტყუნა და ძელს გაარტყა.

ისე, უბრალო მაყურებლისთვის კარგიცაა, მესამე გოლი რომ არ გავიდა (ვალერონმა ძელს 49-ე წუთზე გაარტყა), რაკი ეს, ფაქტობრივად, ბრძოლის დამთავრების ნიშანი იქნებოდა და სანახაობაც ულიმღამო გახდებოდა, ასე კი ბრძოლა გაგრძელდა, რაც „რეალის" ერთმა საპასუხომ კიდევ უფრო დაძაბა. იერიში სოლარიმ წამოიწყო, ფლანგიდან საჯარიმოში მორიენტესს ჩააწოდა, რომელმაც კარის გასწვრის დაარტყა და რაულმა ფეხი შეაშველა.

ამის მერე ბრძოლა ლამის პირდაპირი გაგებით გაგრძელდა. ერთ ეპიზოდში ლაკორუნიელი ფეხბურთელი კლოდ მაკელელეს წამოეპარა, დასცა და აღრიალა. უმალ საქმის გარჩევა დაიწყო და რაკი დასასრული არ უჩანდა, არბიტრმა მანუელ მეხუტო გონსალესმა მადრიდელთა ვნებები ელგერასთვის ყვითელი ბარათის აფრიალებით ჩააცხრო.

ჩააცხრო კი?

დარჩენილ დროში „რეალის" თამაში სიგიჟეს ჰგავდა, დაჭრილი მხეცივით მძვინვარებდა, მით უფრო, რომ ლაკორუნიელებსაც დაღლა დაეტყოთ, მაგრამ..

მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა. „რეალისთვის" ეს დასასრულს ნიშნავდა, ლა კორუნიაში კი ზეიმი მაშინ იწყებოდა..

**გიორგი დარჯანია**

## მატჩის შემდეგ

***აუგუსტო ლენდოირო, „დეპორტივოს" პრეზიდენტი:*** „მსოფლიოს საუკეთესო გუნდს მოვუგეთ, მეტი რა ვთქვა".

***ფლორენტინო პერესი, „რეალის" რეზიდენტი:*** „დეპორტივო" ნამდვილად იმსახურებდა მოგებას, რასაც ვულოცავ. ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რა გუნდია „რეალ მადრიდი".

***დიეგო ტრისტანი:*** „ასეთ ფინალს არავინ ელოდა. დავამტკიცეთ, რომ „რეალს" არაფრით ჩამოვრჩებით. ორი წლის წინ მე უარი ვთქვი „რეალში" გადასვლაზე, რასაც არ ვნანობ".

***ვიქტორი:*** „სანტიაგო ბერნაბეუზე" თითქმის განწირულები ვიყავით, მაგრამ მაინც მოვიგეთ. პირადად მე ამ თასს ბებიაჩემს ვუძღვნი, რომელსაც ჩვენი მარცხი უბრალოდ ვერ წარმოედგინა. ყველაზე მეტად კი მეფის გაცნობით ვარ ბედნიერი, დიდი ხანია, ოცნებად მქონდა და სხვაგან აბა, როგორ მოვახერხებდი".

***ხოსე ფრანსისკო მოლინა:*** „ვაღიარებ, რომ თავიდან მოგება წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. დარწმუნებული ვიყავი „რეალი" ბევრად უკეთესად ითამაშებდა, ბოლოს და ბოლოს იუბილე ჰქონდა".

***ფერნანდო იერო:*** „ყველანი საოცრად იმედგაცრუებულნი ვართ, თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება, კიდევ ბევრი ჯილდო გვაქვს მოსაგები და გულშემატკივრებს დავუმტკიცებთ, რომ ისევ ის „რეალი" ვართ, საუკუნის გუნდის სახელს რომ ატარებს".

***სესარი:*** „ასე მგონია, კოშმარულ სიზმარს ვუყურებ. მაგრამ რა ვუყოთ, ქვეყნის ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა. დღევანდელი ამბავი უნდა დავივიწყოთ და საშაბათო მატჩზე ვიფიქროთ".

***ხავიერ ირურეტა:*** „ფინალის შედეგი იცით, თამაში ნახეთ, ჰოდა, შეფასებაც თქვენთვის მომინდვია. ერთს დავამატებ, „რეალს" სამეფო თასი კი მოვუგეთ, მაგრამ ჩემპიონატში ჩვენზე წინაა და იქაც უნდა ჩამოვიტოვოთ".

**ეკა ჯაფარიძე მადრიდიდან**



REUTERS მადრიდიდან

სერხიომ „რეალის" ოცნებას წყალი შეუყენა

## ესპანეთის თასის ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 1902 | ვისკაია (ბილბაო) 2:1 ბარსელონა |
| 1903 | ბილბაო 3:2 რეალი |
| 1905 | რეალი 1:0 ბილბაო |
| 1906 | რეალი 4:1 ბილბაო |
| 1907 | რეალი 1:0 ვისკაია |
| 1908 | რეალი 2:1 სპორტინგი (ვიგო) |
| 1909 | სოსიედადი 3:1 ესპანიოლი (მადრიდი) |
| 1910 | ბარსელონა 3:2 ესპანიოლი (მადრიდი) |
| 1910 | ბილბაო 1:0 სოსიედადი |
| 1911 | ბილბაო 3:1 ესპანიოლი |
| 1912 | ბარსელონა 2:0 ხიმნასტიკი |
| 1913 | რეალ იუნიონი 2:2, 1:0 ბილბაო |
| 1913 | ბარსელონა 2:2, 0:0, 2:1 სოსიედადი |
| 1914 | ბილბაო 2:1 ესპანიოლი |
| 1915 | ბილბაო 5:0 ესპანიოლი |
| 1916 | ბილბაო 4:0 რეალი |
| 1917 | რეალი 0:0, 2:1 არენას დე გუეჩო |
| 1918 | რეალ იუნიონი 2:0 რეალი |
| 1919 | არენას დე გუეჩო 5:2დ.დ. ბარსელონა |
| 1920 | ბარსელონა 2:0 ბილბაო |
| 1921 | ბილბაო 4:1 ატლეტიკო |
| 1922 | ბარსელონა 5:1 რეალ იუნიონი |
| 1923 | ბილბაო 1:0 ევროპა |
| 1924 | რეალ იუნიონი 1:0 რეალი |
| 1925 | ბარსელონა 2:0 არენას დე გუეჩო |
| 1926 | ბარსელონა 3:2დ.დ. ატლეტიკო |
| 1927 | რეალ იუნიონი 1:0დ.დ. არენას დე გუეჩო |
| 1928 | ბარსელონა 1:1, 1:1, 3:1 სოსიედადი |
| 1929 | ესპანიოლი 2:1 რეალი |
| 1930 | ბილბაო 3:2დ.დ. რეალი |
| 1931 | ბილბაო 3:1 ბეტისი |
| 1932 | ბილბაო 1:0 ბარსელონა |
| 1933 | ბილბაო 2:1 რეალი |
| 1934 | რეალი 2:1 ვალენსია |
| 1935 | სევილია 3:0 საბადელი |
| 1936 | რეალი 2:1 ბარსელონა |
| 1939 | სევილია 6:2 რასინგ დე ფეროლი |
| 1940 | ესპანიოლი 3:2დ.დ. რეალი |
| 1941 | ვალენსია 3:1 ესპანიოლი |
| 1942 | ბარსელონა 4:3დ.დ. ბილბაო |
| 1943 | ბილბაო 1:0დ.დ. რეალი |
| 1944 | ბილბაო 2:0 ვალენსია |
| 1945 | ბილბაო 3:2 ვალენსია |
| 1946 | რეალი 3:1 ვალენსია |
| 1947 | რეალი 2:0დ.დ. ესპანიოლი |
| 1948 | სევილია 4:1 სელტა |
| 1949 | ვალენსია 1:0 ბილბაო |
| 1950 | ბილბაო 4:1დ.დ.ვალიადოლიდი |
| 1951 | ბარსელონა 3:0 სოსიედადი |
| 1952 | ბარსელონა 4:2დ.დ. ვალენსია |
| 1953 | ბარსელონა 2:1 ბილბაო |
| 1954 | ვალენსია 3:0 ბარსელონა |
| 1955 | ბილბაო 1:0 სევილია |
| 1956 | ბილბაო 2:1 ატლეტიკო |
| 1957 | ბარსელონა 1:0 ესპანიოლი |
| 1958 | ბილბაო 2:0 რეალი |
| 1959 | ბარსელონა 4:1 გრანადა |
| 1960 | ატლეტიკო 3:1 რეალი |
| 1961 | ატლეტიკო 3:2 რეალი |
| 1962 | რეალი 2:1 სევილია |
| 1963 | ბარსელონა 3:1 სარაგოსა |
| 1964 | სარაგოსა 2:1 ატლეტიკო |
| 1965 | ატლეტიკო 1:0 სარაგოსა |
| 1966 | სარაგოსა 2:0 ბილბაო |
| 1967 | ვალენსია 2:1 ბილბაო |
| 1968 | ბარსელონა 1:0 რეალი |
| 1969 | ბილბაო 1:0 ელჩე |
| 1970 | რეალი 3:1 ვალენსია |
| 1971 | ბარსელონა 4:3 ვალენსია |
| 1972 | ატლეტიკო 2:1 ვალენსია |
| 1973 | ბილბაო 2:0 კასტელონი |
| 1974 | რეალი 4:0 ბარსელონა |
| 1975 | რეალი 0:0 (4:3პენ.) ატლეტიკო |
| 1976 | ატლეტიკო 1:0 სარაგოსა |
| 1977 | ბეტისი 2:2 (8:7პენ.) ბილბაო |
| 1978 | ბარსელონა 3:1 ლას პალმასი |
| 1979 | ვალენსია 2:0 რეალი |
| 1980 | რეალი 6:1 კასტილია |
| 1981 | ბარსელონა 3:1 სპორტინგი (ხიხონი) |
| 1982 | რეალი 2:1 სპორტინგი (ხიხონი) |
| 1983 | ბარსელონა 2:1 რეალი |
| 1984 | ბილბაო 1:0 ბარსელონა |
| 1985 | ატლეტიკო 2:1 ბილბაო |
| 1986 | სარაგოსა 1:0 ბარსელონა |
| 1987 | სოსიედადი 2:2 (4:2პენ.) ატლეტიკო |
| 1988 | ბარსელონა 1:0 სოსიედადი |
| 1989 | რეალი 1:0 ვალიადოლიდი |
| 1990 | ბარსელონა 2:0 რეალი |
| 1991 | ატლეტიკო 1:0დ.დ. მალიორკა |
| 1992 | ატლეტიკო 2:0 რეალი |
| 1993 | რეალი 2:0 სარაგოსა |
| 1994 | სარაგოსა 0:0 (5:4პენ.) სელტა |
| 1995 | დეპორტივო 2:1 ვალენსია |
| 1996 | ატლეტიკო 1:0დ.დ. ბარსელონა |
| 1997 | ბარსელონა 3:2დ.დ. ბეტისი |
| 1998 | ბარსელონა 1:1 (5:4პენ.) მალიორკა |
| 1999 | ვალენსია 3:0 ატლეტიკო |
| 2000 | ესპანიოლი 2:1 ატლეტიკო |
| 2001 | სარაგოსა 3:1 სელტა |
| 2002 | დეპორტივო 2:1 რეალი |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXIX ტური

**ჩელსი 3:2 ფულემი**

1:0 მელხიოტი (17), 1:1 საჰა (19პ), 2:1 გუდიონსენი (28), 2:2 საჰა (73), 3:2 ფორსელი (83)
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, დესაი, მელხიოტი, ლე სო, გალასი, ლამპარდი, პეტი (დალა ბონა 60), ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ფორსელი 74), ძოლა (გრონკიაერი 65)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, ჰარლი, გომა, უადუ, მალბრანკი, კოლინზი, ბოა მორტე (ჰეილსი 71), მარლე, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: დალა ბონა
მსაჯი: ჯონსი
39 744 მაყურებელი

**ლიდსი 2:0 იფსვიჩი**

1:0 ფაულერი (46), 2:0 ჰარტი (77პ)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბაკე, ბოუერი, კიუელი (რობი კინი 79), ვუდგეიტი, ფაულერი, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
იფსვიჩი: ე. მარშალი, უილნისი, ჰრეიდარსონი, მაკგრივი, ვენუსი, კლეპამი, ფინიდი (ტ. მილერი 86), ჰოლანდი, მეგილტონი, ა. არმსტრონგი (კუნავო 79), მარკუს სტიუარტი (მ. ბენტი 79)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ბოუერი, მაკგრივი, მარშალი, უილნისი
მსაჯი: გალაჰერი
39 414 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0 მერფი (32, 53), 3:0 ჰამანი (75)
ლივერპული: დუდეკი, შავიერი, ჰიპია, ანშო, რიისე, დ. მერფი, ჰამანი, შმიცერი (ბარმბი 82), ოუენი (ლიტმანენი 72), ანელკა, ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, დისტინი, სოლანო, ჯენასი, სპიდი (აკუნა 37), რობერტი, შირერი, კორტი (ბერნარი 76)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: უინტერი
44 204 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:0 ტოტენჰემი**

1:0 ბექჰემი (15), 2:0 ვან ნისტელროი (43პ), 3:0 ბექჰემი (64), 4:0 ვან ნისტელროი (76)
მანჩესტერი: ბართეზი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 69), ბლანი, იონსენი, სილვესტრი, როი კინი, ბექჰემი, სკოულზი (ბატი 71), ვერონი (ფორჩუნი 71), ვან ნისტელროი, ფორლანი
მენეჯერი: ალექს ფერგიუსონი
ტოტენჰემი: სალივანი, ტარიკო, კინგი, რიჩარდსი, ტეტჩერი, ციგე (ეთერინგტონი 86), პოიეტი (პერი 66), შერვუდი, ს. დევისი, შერინგემი, რებროვი (ლ. ფერდინანდი 46)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: კინი, პოიეტი, სკოულზი, შერვუდი, ციგე
განძევება: ტარიკო (43)
მსაჯი: რაილი
67 599 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:1 მიდლსბრო**

1:0 სვენსონი (38), 1:1 უელანი (56)
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, კ. უილიამსი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, ტელფერი, ოკლი, მარსდენი, დელაპი, სვენსონი (პახარსი 67), ორმეროდი, კ. დევისი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მიდლსბრო: შვარცერი, ფესტა, კუპერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, გრინინგი, მუსტო, უელანი, ბოკშიჩი (სტოკდეილი 61), კარბონი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კუპერი, ლუნდეკვამი
განძევება: ფესტა (60)
მსაჯი: რენი
29 931 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:0 ევერტონი**

1:0 სინკლერი (56)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ი. პირსი, შემელი (დ. გარსია 80), დეილი, რეპკა, უინტერბერნი, ლაბანტი, ტ. სინკლერი, ჯ. კოული, დი კანიო, კანი (დეფო 83)
მწვრთნელი: გლენ როედერი
ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, ალექსანდერსონი (გრავესენი 67), ბლომკვისტი, ჯეფერსი, კარსლი (ლინდეროთი 67), კ. კემბელი (ფერილა 62), რადზინსკი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ბლომკვისტი, პისტონე
მსაჯი: ნაითი
29 883 მაყურებელი

# ლივერპული!



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ტოტენჰემი. რუუდ ვან ნისტელროიმ თავისი პრემიერლიგური მონაგარი ოცდაერთ გოლამდე გაზარდა

**არსენალი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 პირესი (69)
არსენალი: სიმენი, ლორენი (დიქსონი 46), ს. კემპბელი, სტეპანოვსი, პარლორი, ვიეირა, პირესი, ლიუნგბერგი, ვილტორდი (კეუ 80), ანრი, ბერგკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დერბი ქაუნთი: ე. ოაკსი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავანი, უ. ბარტონი, ბოერტიენი, ლი (ონილი 55), ქინქლაძე (გრენე 54), კრისტი, ლ. მორისი, შტრუპარი (ვალაკარი 68)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ლი, პარლორი, ონილი
მსაჯი: ბარბერი
38 878 მაყურებელი

**ბლეკბერნი 3:0 ასტონ ვილა**

1:0 დაფი (7), 2:0 დაფი (85), 3:0 კოული (89)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ბერგი, მ. ჯონსონი, ჰ. უნსალი (მ. ტეილორი 57), დ. დაფი, დაფი, თიუგარი (გილესპი 65), ფლიტკროფტი, ნილი, ენდი კოული, იანსენი (იორკი 60)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, სტონტონი, ჰიცლსპერგერი (ლ. ჰენდრი 46), ბერი, ჰიუჯი (მერსონი 46), ჯ. ბოატენგი, ა. ანჯელი (ბალაბანი 72), ვასილი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ბოატენგი, უნსალი, დილანი
მსაჯი: ბენეტი
21 988 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 ბოლტონი**

1:0 მაკატირი (42)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, დ. უილიამსი, კრადოკი, მაკკარტნი, გრეი, მაკატირი, შვარცი, კილბეინი, ფილიპსი, მბომა (ნ. ქუინი 90)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უაიტლოუ (ბერნსაიდი 46), საუთჰოლი, ტოფტინგი, ფარნუორთი (ქამარტერი 67), გარდნერი, ჯორკაეფი, რიკეტსი (ჰოლდსუორთი 56), უოლესი
მწვრთნელი: სემ ოლარდაისი
გაფრთხილება: შვარცი, რიკეტსი, ფილიპსი
მსაჯი: პოლი
43 011 მაყურებელი

**შუა კვირის** ორ დღეს გათამაშებული ტური უხვგოლიანიც გამოდგა და ხმაურიანიც.

სამშაბათ საღამოს „დერბის" დამარცხებით ლიდერობა ხელთ იგდო „არსენალმა", რომელიც ამ ტურის შემდეგ კვლავაც ჩამორჩება „მანჩესტერს" ერთი მატჩით, მაგრამ ამ ლიდერობას ალექს ფერგიუსონის გუნდმა ზუსტად 24 საათში უპასუხა „ტოტენჰემის" განადგურებით. დევიდ ბექჰემმა და რუუდ ვან ნისტელროიმ ორ-ორი გოლი გაუტანეს ტოტენჰემელებს, რომლებიც მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ათნი იცავდნენ თავს, რაზან პირველის მიწურულს პოლ სქოულზის საჯარიმოში მოცელვისთვის მაურისიო ტარიკო გააძევეს.

გლენ ჰოდლმა განაცხადა, რომ ტარიკოს გაძევება ნამეტანი სასჯელი იყო და მისი გუნდი ძალიან დაიჩაგრა ამ წითელი ბარათით. მანჩესტერელთა თავკაცი კი ბექჰემს აქებდა და დიეგო ფორლანის საუცხოო თამაშს აღნიშნავდა. პირველ წრეში „მანჩესტერმა" 0:3-დან შემოუტრიალა თამაში ლონდონელებს და 5:3 მოუგო. ამასობაში, 21 სალიგო გოლი მოუგროვდა ვან ნისტელროის, ამდენი კი არცერთ მანჩესტერელ ფეხბურთელს არ გაუტანია ლიგის მატჩებში 1988 წლის შემდეგ, როცა ბრაიან მაკლაირმა საუცხოო სეზონი ჩაატარა.

ათტურიანი შიმშილის შემდეგ მოიგო „ლიდსმაც", რომელიც „იფსვიჩის" დამარცხებას იღბალა რობი ფაულერსა და იან ჰარტის პენალტს უნდა უმადლოდეს. „ჩელსიმ" მიკაელ ფორსელის გოლით გამოგლიჯა გამარჯვება „ფულემს", რომელმაც დიდ გუნდებთან ზედიზედ წაგების შემდეგ მართლაც თავდადებით ითამაშა. სულ უფრო დაბლა ეშვება „ევერტონი", რომელიც ცოტას კი უშვებს, მაგრამ ცხრილის ბოლოსკენ მიექანება, რადგან კიდევ უფრო ცოტა გააქვს.

ტურის მთავარი თამაში კი „ენფილდზე" იყო, სადაც „ლივერპულმა" 3:0 მოუგო კრეიგ ბელამისა და კირონ დაიერის გარეშე მოთამაშე „ნიუკასლს" და მხცოვანი ბობი რობსონის საჩემპიონო იმედიც დამარხა. დროებითმა მენეჯერმა ფილ ტომპსონმა ცეცხლის ხაზზე სამი თავდამსხმელი გაამწესა: მაიკლ ოუენი-ნიკოლას ანელკა-ემილ ჰესკი. რობსონი კი ამბობდა, ოუენის დაკავების ხერხს მივაგენიო, მაგრამ სამმა ლივერპულელმა თავდამსხმელმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ მატჩის მთავარმეგოლე ჯაჯგურა და მოუსვენარი ნახევარმცველი დენი მერფი შეიქნა. სწორედ ზემოთხსენებული ტრიოს განიერმა თამაშმა განაიარაღა ნიუკასლელი მცველები და ფეხი გააშლევინა ნახევარმცველებს, რომელთა სისწრაფესაც სტუმრები ვეღარ აუვიდნენ. მესამე გოლიც ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა გაიტანა შორიდან.



დევიდ ბექჰემი ვან ნისტელროის არ ჩამორჩა და თვითონაც ორი გაიტანა

სხვა მხრივ, „ლივერპულმა" ზედიზედ მერვე სალიგო მატჩი მოუგო „ნიუკასლს" თავის სტადიონზე.

„ჩვენ ვაჩვენეთ, როგორ გვინდოდა გამარჯვება" — თქვა ტომპსონმა.

„ჩვენები ბავშვებივით ნერვიულობდნენ", ხელები გაშალა რობსონმა, რომლის გუნდიც მეოთხე ადგილზე რჩება და სწორედ ლივერპულს უთმობს გზას საჩემპიონო ბრძოლაში.

ლივერპულელებს კი ერთი სიხარულიც ელით: მალე სამენეჯერო სავარძელს დაუბრუნდება საბოლოოდ გამოჯანმრთელებული მენეჯერი ჟერარ ულიე.

**ირაკლი ბაგურელიძე**



ლივერპული — ნიუკასლი. დენი მერფიმ სტუმრებს ორჯერ გაუტანა



REUTERS ლივერპულიდან

ფილ ტომპსონს „ლივერპულის" სასიყვარულო არაფერი ჰქონდა

| № | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 30 | 19 | 4 | 7 | 73:37 | 36 | 61 | 16 | 11 | 1 | 4 | 40:15 | 25 | 34 | 14 | 8 | 3 | 3 | 33:22 | 11 | 27 |
| 2 არსენალი | 29 | 17 | 9 | 3 | 58:31 | 27 | 60 | 14 | 7 | 4 | 3 | 29:21 | 8 | 25 | 15 | 10 | 5 | 0 | 29:10 | 19 | 35 |
| 3 ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 50:25 | 25 | 59 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:11 | 8 | 26 | 16 | 10 | 3 | 3 | 31:14 | 17 | 33 |
| 4 ნიუკასლი | 29 | 17 | 4 | 8 | 52:38 | 14 | 55 | 14 | 9 | 1 | 4 | 25:17 | 8 | 28 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:21 | 6 | 27 |
| 5 ლიდსი | 29 | 12 | 12 | 5 | 39:29 | 10 | 48 | 14 | 6 | 6 | 2 | 22:15 | 7 | 24 | 15 | 6 | 6 | 3 | 17:14 | 3 | 24 |
| 6 ჩელსი | 28 | 12 | 11 | 5 | 50:30 | 20 | 47 | 13 | 7 | 4 | 2 | 29:14 | 15 | 25 | 15 | 5 | 7 | 3 | 21:16 | 5 | 22 |
| 7 ასტონ ვილა | 29 | 10 | 11 | 8 | 34:34 | 0 | 41 | 15 | 7 | 6 | 2 | 18:12 | 6 | 27 | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | -6 | 14 |
| 8 ტოტენჰემი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:40 | -1 | 38 | 15 | 8 | 3 | 4 | 28:21 | 7 | 27 | 13 | 3 | 2 | 8 | 11:19 | -8 | 11 |
| 9 ჩარლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:33 | -1 | 37 | 15 | 5 | 4 | 6 | 19:22 | -3 | 19 | 13 | 4 | 6 | 3 | 13:11 | 2 | 18 |
| 10 ვესტ ჰემი | 29 | 10 | 7 | 12 | 32:44 | -12 | 37 | 14 | 8 | 4 | 2 | 19:7 | 12 | 28 | 15 | 2 | 3 | 10 | 13:37 | -24 | 9 |
| 11 ფულემი | 29 | 8 | 11 | 10 | 29:34 | -5 | 35 | 15 | 6 | 6 | 3 | 18:13 | 5 | 24 | 14 | 2 | 5 | 7 | 11:21 | -10 | 11 |
| 12 საუთჰემპტონი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:43 | -8 | 35 | 14 | 5 | 3 | 6 | 15:17 | -2 | 18 | 15 | 5 | 2 | 8 | 20:26 | -6 | 17 |
| 13 მიდლსბრო | 29 | 9 | 8 | 12 | 28:36 | -8 | 35 | 14 | 6 | 4 | 4 | 18:17 | 1 | 22 | 15 | 3 | 4 | 8 | 10:19 | -9 | 13 |
| 14 სანდერლენდი | 29 | 9 | 7 | 13 | 23:33 | -10 | 34 | 15 | 6 | 5 | 4 | 14:12 | 2 | 23 | 14 | 3 | 2 | 9 | 9:21 | -12 | 11 |
| 15 ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:35 | -8 | 30 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:17 | 1 | 21 | 14 | 1 | 6 | 7 | 9:18 | -9 | 9 |
| 16 იფსვიჩი | 28 | 8 | 6 | 14 | 35:45 | -10 | 30 | 15 | 5 | 2 | 8 | 19:23 | -4 | 17 | 13 | 3 | 4 | 6 | 16:22 | -6 | 13 |
| 17 ბოლტონი | 29 | 6 | 12 | 11 | 31:44 | -13 | 30 | 14 | 3 | 6 | 5 | 11:22 | -11 | 15 | 15 | 3 | 6 | 6 | 20:22 | -2 | 15 |
| 18 ბლეკბერნი | 28 | 7 | 8 | 13 | 36:37 | -1 | 29 | 14 | 5 | 4 | 5 | 24:17 | 7 | 19 | 14 | 2 | 4 | 8 | 12:20 | -8 | 10 |
| 19 დერბი ქაუნთი | 29 | 7 | 5 | 17 | 23:46 | -23 | 26 | 15 | 5 | 4 | 6 | 15:17 | -2 | 19 | 14 | 2 | 1 | 11 | 8:29 | -21 | 7 |
| 20 ლესტერი | 28 | 3 | 8 | 17 | 18:50 | -32 | 17 | 13 | 1 | 5 | 7 | 8:26 | -18 | 8 | 15 | 2 | 3 | 10 | 10:24 | -14 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 21 |
| ანრი (არსენალი) | 20 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |

### XXX ტური
16 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | არსენალი |
| ბოლტონი | - | დერბი ქაუნთი |
| ჩელსი | - | სანდერლენდი |
| ევერტონი | - | ფულემი |
| ლიდსი | - | ბლეკბერნი |
| მიდლსბრო | - | ლივერპული |
| ნიუკასლი | - | იფსვიჩი |
| საუთჰემპტონი | - | ლესტერი |
| ტოტენჰემი | - | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | - | მანჩესტერი |

### I დივიზიონი

XXXVIII ტური

**ძოვენთრი 1:0 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 ტომპსონი (44)

**ნოტინგემი 2:2 ვულვერჰემპტონი**
0:1 სტარიჯი (11), 1:1 გრეი (54), 1:2 ლესკოტი (60), 2:2 ჰარვუდი (67)

**შეფილდ უენსდი 1:2 უიმბლდონი**
1:0 ჯონსონი (12), 1:1 კონოლი (45), 1:2 ბრაუნი (60პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 38 | 23 | 8 | 7 | 68:33 | 77 |
| სიტი | 36 | 23 | 5 | 8 | 84:45 | 74 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 20 | 7 | 11 | 45:26 | 67 |
| მილუოლი | 37 | 18 | 10 | 9 | 58:38 | 64 |
| ქოვენთრი | 38 | 19 | 5 | 14 | 56:39 | 62 |
| ბარნლი | 37 | 17 | 10 | 10 | 58:50 | 61 |
| კრ. პალასი | 38 | 18 | 4 | 16 | 65:55 | 58 |
| ნორვიჩი | 37 | 17 | 7 | 13 | 49:45 | 58 |
| ბირმინგემი | 36 | 16 | 8 | 12 | 52:42 | 56 |
| პრესტონი | 37 | 15 | 11 | 11 | 55:49 | 56 |
| უიმბლდონი | 36 | 13 | 12 | 11 | 51:45 | 51 |
| ჯილინგემი | 37 | 14 | 8 | 15 | 53:56 | 50 |
| უოტფორდი | 38 | 13 | 10 | 15 | 53:46 | 49 |
| ნოტინგემი | 38 | 11 | 16 | 11 | 42:37 | 49 |
| შეფილდი | 37 | 12 | 13 | 12 | 41:42 | 49 |
| პორტსმუთი | 37 | 12 | 10 | 15 | 52:61 | 46 |
| ბრედფორდი | 36 | 13 | 6 | 17 | 60:64 | 45 |
| როტერჰემი | 38 | 10 | 14 | 14 | 46:56 | 44 |
| ქრიუ | 34 | 11 | 8 | 15 | 35:54 | 41 |
| უენსდი | 38 | 10 | 10 | 18 | 42:62 | 40 |
| ბარნსლი | 38 | 8 | 14 | 16 | 50:72 | 38 |
| გრიმსბი | 38 | 9 | 11 | 18 | 36:60 | 38 |
| უოლსოლი | 38 | 9 | 9 | 20 | 39:61 | 36 |
| სტოკპორტი | 37 | 3 | 8 | 26 | 34:86 | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## A ჯგუფი: საფრანგეთი, სენეგალი, ურუგვაი, დანია

ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს წარმოგიდგენთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებს



**ფართობი:** 176 220 კმ²
**მოსახლეობა:** 3 330 000
**დედაქალაქი:** მონტევიდეო
*ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1900 წელს*
ფიფას წევრი 1923 წლიდან
კონმებოლის წევრი 1916 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ფიგუერედო აგუერე
**გენერალური მდივანი:** ხორხე ალმადა
**სტადიონი:** „სენტენარიო“ (75 000)
**მწვრთნელი:** ვიქტორ პუა
**კაპიტანი:** პაოლო მონტერო
**ფორმა:** თეთრ-ცისფერი (კომბინირებული) მაისურა, შავი ტრუსი, შავ-ლურჯი (კომბინირებული) გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „პენიაროლი“, „ნასიონალი“, „მონტევიდეო უონდერერზი“, „დეფენსორ სპორტინგი“, „დანუბიო“, „ბელა ვისტა“, „რივერ პლეიტი“, „რამპლა ხუნიორსი“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 23




## არის ასეთი ქვეყანა

ურუგვაი ყველაზე თეთრი ქვეყანაა მთელ ლათინურ ამერიკაში. შეხედეთ მექსიკელს ან ბრაზილიელს: თვალწინ დაგიდგებათ ესპანელი ან პორტუგალიელი კოლონიზატორებისგან ინდიელი და ზანგი დედაკაცებისგან ნამუსის წაგვრის ტრაგიკული სცენები, ხოლო ურუგვაიში მსგავსი ამბები ნაკლებად იყო. დღეს რომ მონტევიდეოს ქუჩებში გაიაროთ, ათში ერთი თუ შეგხვდებათ მეტისი, მულატი ან რასათა აღრევის კიდევ სხვა პროდუქტი. ურუგვაის ისტორია ომების ისტორია უფროა, რადგან თბილი და რბილი კლიმატის ქვეყანა (ამერიკის შვეიცარიას უწოდებენ) საჯილდაო ქვა იყო. მისთვისაც არგენტინა და ბრაზილია წლების მანძილზე წეწავდნენ ერთმანეთს. გამარჯვებული ვერცერთი დარჩა და საუკუნენახევარია ურუგვაი დამოუკიდებლად ცხოვრობს, ესპანური სისხლით და ენით, ინფლაციის გვარიანი სიმაღლით, „პარიადუთი“, რაც ნახშირზე შემწვარ ქათმის ან ღორის ხორცს ჰქვია და ნაციონალური კერძის ტიტულს ატარებს. ცხადია, ტელესერიალებით, ოღონდ საქართველოში იქაური „საპნის ოპერების“ ნახვას ჯერ ვერ ვეღირსეთ და დიდი იმედი გვაქვს, გამგები გაიგებს.

მონტევიდეო კი მართლა საუცხოო ქალაქია და სადაც ლა პლატას ყურის მეორე ნაპირზე მდგარი ბუენოს აირესის ქებას გაიგებთ, მეორე მონტევიდეოსი თქვით.

**დავით გულუა**



# გერა კარით დიდი ამბიციისკენ

თუკი ერთ წინადადებაში ამის ჩატევა შეიძლება, ასე ვთქვათ: ურუგვაის ნაკრების თამაში არგენტინის ნაკრების თამაშის მსგავსია, ოღონდ ურუგვაელებს აქვთ სისტემა, რომლის მიხედვითაც გუნდი ცდილობს ერთსულოვანი იყოს, ყველა მოთამაშეს შეეძლოს ერთმანეთის ფუნქციის შესრულება და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ქვეყნის მთავარმა ფეხბურთელმა ალვარო რეკობამ მაქსიმალურად გაშალოს ფრთები. ერთი სიტყვით, ბევრი რამ რეკობას ნიჭზეა დამოკიდებული და თუნდ გუნდს თამაში ჯეროვნად არ გამოუვიდა, ამ ერთმა კაცმა შეიძლება შედეგი ურუგვაელთა სასარგებლოდ მოატრიალოს.

მაგრამ ზემოთ არგენტინული ფეხბურთი ვახსენეთ. კაცმა რომ თქვას, ზოგადად, ურუგვაელთა თამაში არგენტინელებისას მაინცდამაინც არ უნდა ჰგავდეს. მაშ რა ხდება? საქმე ის გახლავთ, რომ ურუგვაის ეროვნული გუნდის სტილში არგენტინული ელემენტი მაშინ მომძლავრდა, როცა სათავეში მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, არგენტინის ნაკრების კაპიტანი და მსოფლიო ფეხბურთის დიდი ვარსკვლავი დანიელ პასარელა ჩაუდგა.

მართლაც, თავიდან ურუგვაელ ფეხბურთელთა არგენტინულად ათამაშება კარგ იდეად ჩანდა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამას შედეგი არ მოჰქონდა, რასაც ბუნებრივი გაგრძელებაც მოჰყვა; პასარელა პრესის ზეწოლის ქვეშ მოექცა და ყოველდღიური კრიტიკის საგნად იქცა. აქ უნდა ითქვას, რომ პასარელას ურუგვაელი სპეციალისტით შეცვლა ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ამ ქვეყნის კლუბები ტაქტიკური განსწავლულობით არ გამოირჩევიან, რაც მწვრთნელთა დაბალ განვითარებაზე მიუთითებს, მაგრამ რისკი ამ შემთხვევაში კეთილშობილი საქმე გამოდგა — ვიქტორ პუა, ასე ჰქვია ადამიანს, რომელმაც თანამდებობაზე დიდი ჩემპიონი შეცვალა, რომელიც მისი ასისტენტი გახლდათ და რომელმაც, მართალია წინამორბედის არგენტინულ იდეებს ხელი არ ახლო, მაგრამ ფეხბურთელები, ატმოსფერო და მენტალიტეტი შეცვალა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ურუგვაელთა თამაშში დაბრუნდა ოდინდელი „გერა კარი“ ანუ საომარი სულისკვეთება, მეტოქეების წინააღმდეგ ფიზიკური ბრძოლის და მათი მოქმედებების რღვევის წადილი. ამას კიდევ სჭირდება განმარტება: ურუგვაის ნაკრების თამაში ნაკლებად ინდივიდუალტური და მეტად დაცვითი გახდა.

ამის მერე დაუმს ჰკითხეს, კალმუნდი მართალს ჰყვებაო? თუმცა გაუგებარი პასუხი მიიღეს. „მე რომ ანალიზის პასუხი გავიგე, ვილრიალე, მაგიდაზე მუშტი დავარტყი და რაინერს ვუთხარი, ჩემს წინააღმდეგ მომართულ ბინძურ კამპანიაში შენი ხელიც ურევიაო. მერე ვკითხე, რომ გითხრა, რომ ჩემი თმები არ ყოფილა, რას იზამ-მეთქი" — ასეთი ყოფილა მაშინ მწვრთნელის რეაქცია.

კითხვაზე, თუკი იცოდით ვის თმებს აბარებდით და რა შედეგი იქნებოდა, რატომ აყალბებდით ანალიზსო, დაუმმა ამგვარი პასუხი გასცა: „მიყვარს რისკი, თუმცა თვითმკვლელი არ ვარ. მაშინ ეს რომ გავაკეთე, იმაზე ვფიქრობდი, რომ მოგვიანებით, როცა გაირკვეოდა, თმები მე არ მეკუთვნოდა, ვერავინ ველარაფერს დამიმტკიცებდა". მერე მის უფროს ძმას, დაბა ბერხტესგარდენში მასწავლებლად მომუშავე ებერჰარდ დაუმსაც ჰკითხეს, მართლა მიეცით კრისტოფს თმებიო, რაზეც რამდენიმე ათეულ ბავშვზე მზრუნველმა პედაგოგმა მიუგო, ჩემი ძმა უკვე საკმაოდ დაისაჯა, დაანებეთ თავი, სხვა არანაირ კომენტარს არ ვაკეთებო. აი, ამაზეა ნათქვამი, ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. ისე, კიდევ კარგი, სასამართლოს დაუმების დედა არ ესწრებოდა, თორემ დარწმუნებული იყავით, იტყოდა, დაანებეთ ჩემს ბავშვებს თავი, ტყუილად ნუ მიჩაგრავთო.

ერთი სიტყვით, სამშაბათს სხდომამ საქმე უფრო ჩახლართა. რომ ფიქრობდნენ, კალმუნდი ბევრ რამეს ნათელს მოჰფენდა, პირიქით, უფრო გაამუქა და გაურკვეველი გახადა. ყველა ამტკიცებს სხვისი თმები გამოიკვლიესო, მაგრამ როგორ მოხვდა სხვისი თმები კეფერშტაინის ლაბორატორიაში? მოდით, გავიხსენოთ 2000 წლის 9 ოქტომბერი, როცა დაუმს თმები ამოაძრეს თუ მოაჭრეს.

იმ პროცესს, ნოტარიუსი დიტერ იანკე სიტყვასიტყვით ასე იხსენებს: „სტადიონზე რომ მივედი, ჯერ კალმუნდის კაბინეტში შევედი, მერე ტროლეკი შემოვიდა და მწვრთნელის კაბინეტისკენ გავიძღვა, იქ დაუმი, კოხი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ექიმი იოზეფ შმიტი დამხვდნენ. ტროლეკმა დაუმს ჩვენს თვალწინ თმები მოაჭრა, მერე კრისტოფმა შარვალი ჩაიწია და ერთი-ორი ღერი თმა სასირცხო ადგილიდანაც ამოიძრო. მერე ეს თმები კონვერტში ჩადეს და მე გადმომცეს. მე კი კეფერშტაინს მივაწოდე". დაახლოებით იგივეს ამბობს ტროლეკიც. როლანდ კოხი კი ყოველივეს ასე აღწერს: „მე დაუმის წინ ვიდექი, ტროლეკი თმას აჭრიდა, შმიტი და იანკე კი ერთმანეთში საუბრობდნენ".

ამ პროცესის შემდეგ, გარეთ გამოსულმა კრისტოფ დაუმმა ჟურნალისტებს განუცხადა — ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ყველაფერი მომბეზრდა და მინდა ამ ანალიზებით ყველას დავუმტკიცო, რომ სუფთა ვარ.

სწორედ ამ დროს ამბობენ, კომენტარი ზედმეტიაო. მაინც საინტერესოა, რატომ შეცვალა დაუმმა თავისი თმა თავისივე ძმის თმით, ნუთუ არ იცოდა, რომ კოკაინი ებერჰარდ დაუმის ტრფობის მთავარ საგანს წარმოადგენდა. ნუთუ იმიტომ, რომ ამხელა სკანდალი აეგორებინა, საქმე წელიწადნახევარი გაეწელა და მერე ეთქვა, სხვისი თმები იყო, ახლა თუ გინდათ მოგცემთ ჩემს თმას და ნახავთ, ნარკომანი რომ არ ვარო? ძნელი დასაჯერებელია, თანაც ჰერ დაუმმა უნდა იცოდეს, რომ სასამართლოს შეცდომაში შეყვანა და სიმართლის დადგენაში ხელის შეშლაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

„ბილდი" კი წერს, კრისტოფ, შენ ყველას გვატყუებ, ამიტომ შენი ადგილი გერმანულ ფეხბურთში სამუდამოდ დაიკარგა!

# რატომ გვიგანე, განელო





„ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანმა ასი წუთი გაძლო, მერე კი დანებდა

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ**

**ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲨᲐᲚᲙᲔ 2:0Დ.Დ. (0:0) ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ**

10 ვან ჰოოგდალენი (100), 2:0 ბიომე (116)
გაძევება: კუფური (90, „ბაიერნი")
60 600 მაყურებელი

ფინალში 11 მაისს ბერლინის „ოლიმპიასტადიონზე" გელზენკირხენის „შალკე" და ლევერკუზენის „ბაიერი" შეხვდებიან

**ᲔᲥᲕᲡᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ** წინ ბუნდესლიგაში დიდი ომით დაშორებული ეს ორი გუნდი ერთმანეთს გერმანიის თასის ნახევარფინალში შეეყარა. ბაიერნელები 1:5 წაგებისთვის მასპინძლებთან რევანშის აღებას გეგმავდნენ, თუმც „შალკესაც" ჰქონდა მეტოქესთან ძველი ანგარიში: 18 წლის წინ ეს გუნდები გფრ-ს თასის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. მატჩის ძირითადი დრო 4:4 დასრულდა, დამატებითი — 6:6, ხოლო გადათამაშება „ბაიერნმა" 3:2 მოიგო და მოგვიანებით თასსაც დაეუფლა.

გუშინწინდელი თამაში დაძაბული და უხეში გამოდგა, მსაჯმა მოთამაშეთა დასაშოშმინებლად რვაჯერ ამოიღო ყვითელი ბარათი, ხოლო 90-ე წუთზე ბავარიელი მცველ სამუელ კუფურს მოედანი დაატოვებინა.

მეტოქეთა კართან სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. ძირითად დროში ერთადერთი და გამორჩეული მომენტი მატჩის 83-ე წუთზე „ბაიერნის" ბრაზილიელი თავდამსხმელის ჯოვანი ელბერის თავური იყო, რომელიც „შალკეს" კარის ხარიხამ მოიგერია.

დამატებითში „გელზენკირხენის" სტადიონზე შეკრებილმა 60 ათასმა ქომაგმა საკუთარი გუნდი გოლის გასატანად შეაგულიანა. „შალკემაც" მძლავრად შეუტია და მე-100 წუთზე მარკ ვან ჰოოგდალენმა თავისიანები დააწინაურა. მიუნხენელებს ძალიან უჭირდათ დაცვის ბურჯის, სამუელ კუფურის გარეშე და 115-ე წუთზე იორგ ბიომესგან მეორე გოლიც მიიღეს.

„შალკემ" დამატებით დროში აშკარად გვაჯობა — განაცხადა „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — თუმცა ახლა მოსაწყენად არ გვცალია და შაბათის მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ".

„თამაში მეტად დაძაბული და რთული იყო, მაგრამ ჩვენ მეტი შეუპოვრობა გამოვიჩინეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ" — ეს კი „შალკეს" თავკაცის ჰუუბ სტევენსის სიტყვებია.

გელზენკირხენელები ზედიზედ მეორე წელია, გერმანიის თასის ფინალში გადიან. შარშან მათ მესამელიგელი „უნიონის" დამარცხება არ გასჭირვებიათ, წლეულს კი მეტოქედ ბევრად ძლიერი „ლევერკუზენი" ეყოლებათ.

ლუკა გიგიბერია



REUTERS ლიონი

ლიონი — მონაკო. მასპინძელთა კაპიტანი სონი ანდერსონი რაფაელ მარკესსაც გაექცა და გოლიც გაიტანა

# ასვლა ტრიბუნად ფერნანდესისა და ამაოება დარშევილისა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVIII ტური

**ბასტია 0:1 პსჟ**
0:1 ოგბეჩე (50)

**ლიონი 1:0 მონაკო**
1:0 ს. ანდერსონი (54)

**გენგამი 4:3 ლორიანი**
1:0 ბარდონი (45), 2:0 კარნო (50), 2:1 დარშევილი (51), 2:2 საიბი (63), 3:2 კარნო (65), 4:2 მალუდა (72), 4:3 დარშევილი (89)

**ლანსი 2:0 რენი**
1:0 სიბიერსკი (14), 2:0 ბედრონი (90)

**მეცი 0:1 ლილი**
0:1 ბაკარი (18)

**ნანტი 0:0 სოშო**

**ტრუა 2:0 მონპელიე**
1:0 ნიანგი (12), 2:0 ლეკო (51)

**სედანი 1:0 ბორდო**
1:0 მიონგ (52)

**მარსელი — ოსერი**
10-ზე ადრის გამო მატჩი ჩაიშალა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის დასასრულამდე გზა თანდათან მოკლდება. დარჩენა-გადარჩენისთვის ბრძოლა, ისევე როგორც პირველობისთვის, უფრო გამძაფრდა. სულ რაღაც ექვსი ტური და მარადცვალებადი ცხრილი საბოლოო სახეს მიიღებს.

პირველ ადგილზე ისევ „ლანსი" გამოჭიმულა და უახლოეს მდევარს ექვს ქულაზე ახლოს არ უშვებს. ლიდერმა ერთ-ერთ გაჭირვებულს, „რენს" უმასპინძლა. თუმცა ვერაფერით დაეხმარა. ბეჩავი სტუმრები მეცამეტე მარცხს ანტუან სიბიერსკიმ მეცამეტე წუთზევე დაუდო სათავე. მერე კატათაგუობანა გააბურეს და ეხეც მეორე იყოსო, სტეფან პედრონმა ორბურთიანი მარაგით გაისტუმრა „რენი".

„ლიონს" ისღა დარჩენოდა, „მონაკო" როგორმე დაებერტყა და სამი ქულაც გაეგდებინა. თუ არა, „ლანსი" ვეებ ჭოგრიტითაც ველარ დაენახა. მასპინძლებს გაუჭირდათ და გოლიც გაუჯანჯლდათ, მაგრამ სანამ სონი ანდერსონს პირში სული უდგას, მშველელად მოევლინება გუნდს. ამჯერადაც მისმა დელისერთა გოლმა შეუნარჩუნა „ლიონს" საჩემპიონო შანსი. ამათ არც დედაქალაქი ჩამორჩა. პსჟ-ზე მოგახსენებთ, ოღონდ ჯერ მის ცეცხლისმფრქვეველ მწვრთნელზე, ლუის ფერნანდესზე გიამბობთ. ლიგის თასის ნახევარფინალური მატჩისას, „ბორდოს" წინააღმდეგ, გვარიანი შეხლა-შემოხლა მოხდა. პსჟ-მ, როგორც იცით, ის შეხვედრა წააგო. მსაჯთა მოქმედებამ ფერნანდესი ისე გააშმაგა, რომ ჯერ ხომ არბიტრებს დაერია, შემახილთ: „დაგხოცავთ, თქვენი!" მერე მატჩის კომისარს სარმა გამოსდო, მოკლედ, გემრიელად იჩხუბა. აბა, ამას ვინ შეარჩენდა. სპეცკომისიამ გადაწყვიტა მისი დასჯა, თუმცა ლუისმა დაასწრო და თქვა, სეზონის ბოლომდე თვითონ დავტოვებ მწვრთნელის კუთვნილ ადგილს, დარჩენილ დროს ტრიბუნაზე გავატარებო. ერთი სიტყვით, საკუთარი თავი დასაჯა.

პირველივე შეხვედრა, სტუმრად „ბასტიასთან", ტრიბუნაზე მჯდომი ფერნანდესის პსჟ-მ მოიგო. გამარჯვებისა ყმაწვილმა ნიგერიელმა ბართოლომეო ოგბეჩემ მეორე ნახევრის დებიუტში შეაგდო.

კიდევ ერთხელ გამოცა „მეცმა". რამდენიმე დღით ადრე სტუმრად „ლანსის" კინაღამ მომგებმა, „ლილთან" ვერაფერი გააწყო. ანდა რას გააწყობდა, ეს ხომ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის აწყობდალაგებული გუნდია. დაგუ ბაკარიმ მალევე გაუტანა ერთპიროვნულ აუტსაიდერს და „მეცი" კუთვნილ ადგილზე დაამუხრუჭა. მამადუ ნიანგმა, ახლა ამათი ლოლიაობის თავი არ მაქვსო, „მონპელიეს" მეორე წუთზევე აჯლაპა ერთი ცალი. ნახევარი საათი უყურა პატრის ლოკომ მობურთალებს, მამადუმ თუ გაიტანა, მე ნაკრების ნაწევრალი ვარ, ერთი მეც მეკუთვნისო და ანგარიში გააორა. ისე, „ტრუა" კარგა ხნის ჩავარდნის შემდეგ, ეტყობა, გონს მოვიდა.

„ბორდო" კი გამარჯვებებმა გადაალა. მძიმე მატჩი გადაიტანა პსჟ-სთან ლიგის თასის ნახევარფინალში და დაქანცა. „სედანთან" მარცხს სულ მთლად ზემოხსენებულ მიზეზებს ნუ დავაბრალებთ, სედანელებიც გულიანად ირჯებიან შინაურ ბალახზე. სედრიკ მიონეს კინკილა გოლმა დროული და საჭირო სამი ქულა შემატა გუნდს.

ბოლოს წყალწაღებულთა გადარჩენაზეც ვთქვათ. „გენგამმა" და „ლორიანმა", მაინც დაბლა ვყრივართ, ჯიგრიანი ფეხბურთი გავაჩაღოთო და გააჩალეს კიდეც. ამ შეხვედრაში იმაზე ერთით ნაკლები გავიდა, რამდენიც დანარჩენ შვიდ შეხვედრაში ერთად აღებული. მეტოქენი პირველი ტაიმის ბოლომდე გოლის გატანისგან თავს იკავებდნენ. ტაიმის მიწურულს სედრიკ ბარდონმა ველარ მოითმინა და მასპინძლები დააწინაურა. თითქოს ამას ელოდნენო, მეორე ნახევარში რომ მიჰყვეს ფეხი, გოლები მწიფე პანტასავით ცვიოდა ორივე კარში. შეხვედრის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ „გენგამს" ოთხი გაეტანა, ხოლო „ლორიანს" — სამი. მეგოლეებისგან ერთი კაცი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. ეს ლორიანელი ჟან კლოდ დარშევილია, ვინც გუნდს თავისი გოლებით მიათრევს გადასარჩენად, თუმცა ჯერჯერობით ამაოდ. მისი „ლორიანი" ბოლოდან მეორეა, თვითონ კი ბომბარდირთა დავაში მხოლოდ არქიმეგოლე პედრო პაულეტას ჩამორჩება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 28 | 17 | 8 | 3 | 47:20 | 59 |
| ლიონი | 28 | 16 | 5 | 7 | 55:29 | 53 |
| პსჟ | 28 | 12 | 12 | 4 | 36:20 | 48 |
| ოსერი | 25 | 13 | 9 | 3 | 34:22 | 48 |
| ლილი | 28 | 13 | 9 | 6 | 33:24 | 48 |
| ბორდო | 27 | 11 | 8 | 8 | 27:22 | 41 |
| ტრუა | 28 | 11 | 6 | 11 | 34:31 | 39 |
| სოშო | 28 | 9 | 9 | 10 | 34:36 | 36 |
| მონაკო | 28 | 9 | 8 | 11 | 30:31 | 35 |
| მარსელი | 27 | 8 | 9 | 10 | 25:31 | 33 |
| მონპელიე | 28 | 7 | 11 | 10 | 23:26 | 32 |
| სედანი | 26 | 7 | 10 | 9 | 27:29 | 31 |
| ბასტია | 28 | 9 | 4 | 15 | 29:38 | 31 |
| ნანტი | 28 | 8 | 6 | 14 | 25:34 | 30 |
| რენი | 28 | 7 | 8 | 13 | 28:42 | 29 |
| გენგამი | 28 | 7 | 8 | 13 | 29:48 | 29 |
| ლორიანი | 28 | 7 | 6 | 15 | 39:56 | 27 |
| მეცი | 27 | 7 | 4 | 16 | 19:35 | 25 |

### მეორე დივიზიონი

31-ე ტური: აიაჩო — ნიცა 1:1; კანი — ნიმი 1:0; შატორუ — ნანსი 1:1; კრეტეი — ნიორი 1:3; გრენობლი — ბოვე 0:0; გენიონი — მარტიგი 1:2; ლე მანი — სტრასბური 1:0; სენტ ეტიენი — ლავალი 3:1; ვასკეალი — ისტრი 1:0. ამიენი — ლე ავრი ნუხელ გაიმართება (იხ. მე-2 გვერდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 31 | 15 | 11 | 5 | 41:24 | 56 |
| ბოვე | 31 | 13 | 14 | 4 | 32:17 | 53 |
| ლე ავრი | 30 | 13 | 13 | 4 | 43:23 | 52 |
| ნიცა | 31 | 15 | 5 | 11 | 42:33 | 50 |
| სტრასბური | 29 | 14 | 7 | 8 | 36:24 | 49 |
| ლე მანი | 31 | 13 | 9 | 9 | 42:36 | 48 |
| შატორუ | 31 | 13 | 6 | 12 | 33:32 | 45 |
| ლავალი | 31 | 12 | 7 | 12 | 37:38 | 43 |
| ვასკეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 36:41 | 41 |
| ნანსი | 29 | 9 | 12 | 8 | 31:27 | 39 |
| კაენი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:47 | 39 |
| ამიენი | 30 | 9 | 11 | 10 | 36:37 | 38 |
| გენიონი | 30 | 7 | 16 | 7 | 33:36 | 37 |
| გრენობლი | 31 | 9 | 10 | 12 | 29:42 | 37 |
| ნიორი | 31 | 7 | 14 | 10 | 32:33 | 35 |
| სენტ ეტიენი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:39 | 35 |
| ისტრი | 30 | 5 | 15 | 10 | 27:33 | 30 |
| კრეტეი | 31 | 6 | 11 | 14 | 29:40 | 29 |
| მარტიგი | 30 | 7 | 8 | 15 | 26:41 | 29 |
| ნიმი | 30 | 3 | 15 | 12 | 23:36 | 24 |

## თურქეთი

### თასის ნახევარფინალი

**კოჯაელი 1:0 ადანა**
1:0 ლაზაროვი (32)

**დენიზლი 0:1 ბეშიქთაში**
0:1 მანშიზი (63)

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**სენტ ჯონსტონი 0:2 რეინჯერსი**
0:1 ფლო (45), 0:2 რიკსენი (60)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი (ნერლინგერი 66), ლ. ამორუზო, ნუმანი, უილსონი, ტ. ვიდმარი, კანჩელსკისი, ს. ჰიუზი, მაკკანი, ფლო, დოდსი. შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: რიკსენი
მსაჯი: სომერსი
6 382 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 30 | 27 | 2 | 1 | 72:14 | 83 |
| რეინჯერსი | 31 | 22 | 7 | 2 | 69:22 | 73 |
| ლივინგსტონი | 29 | 13 | 8 | 8 | 39:29 | 47 |
| აბერდინი | 30 | 13 | 5 | 12 | 42:41 | 44 |
| კილმარნოკი | 30 | 11 | 8 | 11 | 36:38 | 41 |
| ჰართსი | 30 | 11 | 6 | 13 | 40:40 | 39 |
| დანფერმლაინი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:51 | 37 |
| დანდი იუნ. | 30 | 8 | 8 | 14 | 29:52 | 32 |
| დანდი | 29 | 8 | 7 | 14 | 29:45 | 31 |
| მოზერუელი | 30 | 8 | 6 | 16 | 40:55 | 30 |
| ჰიბერნიანი | 30 | 6 | 10 | 14 | 37:48 | 28 |
| სენტ ჯონსტონი | 31 | 4 | 4 | 23 | 20:53 | 16 |

### ასოციაციის თასი. 1/4 ფინალი. გადათამაშება

**აირი (I) 2:0 დანდი იუნაიტიდი**
1:0 კრაბე (123), 2:0 შერიდანი (80)

### ნახევარფინალის წილისყრა

აირი (I) — სელტიკი; გლაზგო რეინჯერსი — პარტიკი (I)

## პოლონეთი

### თასის ნახევარფინალი. I მატჩები

**რუხი 1:0 ამიცა**
1:0 ვოსი (82)
„რუხში" მამია ჯიქიძემ სრულად ითამაშა

**პლოცკი 1:0 ვისლა**
1:0 შტრაკი (7), 1:1 კოშოვსკი (54), 1:2 იოპი (90)

## ჩეხეთი

მე-20 ტური: პრაღის კრალოვე — ბანიკი 1:3; სლავია — ტეპლიცე 3:0; იაბლონეცი — ბრნო 0:2; დრნოვიცე — ბოჰემიანსი 2:0; ჟიჟკოვი — სინოტი 1:0; სიგმა — ბლშანი 3:1; პრჟიბრამი — სპარტა 0:0; ოპავა — ლიბერეცი 1:2; ტეპლიცე — იაბლონეცი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟიჟკოვი | 20 | 15 | 2 | 3 | 33:14 | 47 |
| სპარტა | 20 | 15 | 1 | 4 | 43:11 | 46 |
| ლიბერეცი | 20 | 13 | 5 | 2 | 38:17 | 44 |
| ბოჰემიანსი | 20 | 12 | 5 | 3 | 31:15 | 41 |
| ბანიკი | 20 | 9 | 6 | 5 | 29:21 | 33 |
| ბრნო | 20 | 9 | 4 | 7 | 25:31 | 31 |
| სლავია | 20 | 8 | 6 | 6 | 32:25 | 30 |
| იაბლონეცი | 20 | 5 | 9 | 6 | 18:21 | 24 |
| სიგმა | 20 | 5 | 7 | 8 | 19:26 | 22 |
| პრჟიბრამი | 20 | 6 | 4 | 10 | 17:26 | 22 |
| სინოტი | 20 | 6 | 4 | 10 | 17:26 | 22 |
| ჰრადეც კრალოვე | 20 | 6 | 3 | 11 | 20:36 | 21 |
| დრნოვიცე | 20 | 5 | 5 | 10 | 24:25 | 20 |
| ტეპლიცე | 20 | 5 | 5 | 10 | 19:29 | 20 |
| ბლშანი | 20 | 5 | 1 | 14 | 23:38 | 16 |
| ოპავა | 20 | 2 | 1 | 17 | 14:41 | 7 |

## შვეიცარია

### II ეტაპი. A ჯგუფი. III ტური

**ციურიხი 2:1 სიონი**
1:0 მაგრო (6), 1:1 პიფარეტი (12), 2:1 იაშარი (26)
გოჩა ჯამარაული განაცხადში ვერ მოხვდა, მიხეილ კავილაშვილი ტრავმირებულია

**ლუგანო 1:0 გრასჰოპერი**
1:0 ბიაჯი (87)

**იანგ ბოისი 3:1 სერვეტი**
0:1 სანუ (16), 1:1 პეტროსიანი (45), 2:1 დეს კლუ (89), 3:1 სერმეტერი (90)

**სენტ გალენი — ბაზელი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 28 |
| იანგ ბოისი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 23 |
| სერვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 23 |
| სენტ გალენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 22 |
| ლუგანო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 22 |
| გრასჰოპერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 21 |
| ციურიხი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 18 |
| სიონი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 17 |

### II ეტაპი. A/B ჯგუფი. III ტური

**ვინტერთური 2:2 აარაუ**
0:1 ბენიტო (7), 1:1, 2:1 ფრეი (31, 34), 2:2 ბენიტო (87)
ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

**დელემონი 1:0 ვილი**
1:0 იუფუ (27)

**ლუცერნი 1:2 ლოზანა**
0:1 შაფერია (24), 1:1 არუე (41), 1:2 ჩუგა (70)

**ქსამაქსი 4:0 თუნი**
1:0 რეი (6), 2:0 ჟ. შნაიდერი (60), 3:0 ვილერკერი (30), 4:0 ტაჩე-მენსა (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| დელემონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ვილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| თუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 6 |
| აარაუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ლოზანა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ვინტერთური | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ლუცერნი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

## ბელგია

### თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

**სენტ ტრუიდენი 2:2 მუსკრონი (0:3)**
1:0 ვერგანი (11), 1:1 მარჩინ ჟეველაკოვი (51), 1:2 ვიდოვიჩი (54), 2:2 ბოდინი (78)

**ლოკერენი 0:3 ბრიუგე (0:3)**
0:1 სიმონი (19), 0:2 მარტენსი (88), 0:3 ვან დერ ჰეიდენ (90)

## ავსტრია

24-ე ტური: ადმირა — რაპიდი 0:1; აუსტრია — ბრეგენცი 3:0; კერნტენი — გრაცერი 1:0; ზალცბურგი — რიდი 0:1; შტურმი — ტიროლი 1:0; რაპიდი — აუსტრია 1:1; კერნტენი — ტიროლი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 24 | 18 | 3 | 3 | 47:6 | 57 |
| შტურმი | 24 | 11 | 9 | 4 | 40:24 | 42 |
| გრაცერი | 24 | 11 | 7 | 6 | 48:32 | 40 |
| კერნტენი | 24 | 10 | 6 | 8 | 26:30 | 36 |
| ზალცბურგი | 24 | 9 | 6 | 9 | 25:26 | 33 |
| აუსტრია | 24 | 7 | 9 | 8 | 31:27 | 30 |
| რაპიდი | 24 | 7 | 6 | 11 | 21:30 | 27 |
| რიდი | 24 | 6 | 7 | 11 | 29:39 | 25 |
| ბრეგენცი | 24 | 6 | 7 | 11 | 29:52 | 25 |
| ადმირა | 24 | 3 | 4 | 17 | 16:46 | 13 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ესეც პრემიერლიგა

**I ტური**

**დღეს**
ლოკომოტივი-ალანია
შინიკი-სატურნი
სპარტაკი-როსტსელმაში
კრილია-ურალანი

**ხვალ**
ტორპედო-სოკოლი
ანჟი-ზენიტი
როტორი-დინამო
ცსკა-ზილ

**დღეს** რუსეთში ახალი საფეხბურთო სეზონი გაიხსნება. ჩემპიონატის სტრუქტურაში კი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამიერიდან უმაღლეს ლიგას პრემიერლიგა, პირველ დივიზიონს უმაღლესი, ხოლო მეორეს პირველი ლიგა ერქმევა.

პრემიერლიგის შემოღება მისი მონაწილე კლუბების ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებსო, ფიქრობენ რუსეთში. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი ოთხიოდ დღის წინ გადაიდგა, პრემიერლიგისა და რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის თავკაცებმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვითაც „ერ ტე ერს" მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება გადაეცა. ამ პროექტში 83 რეგიონალური ტელეკომპანიაც ჩაერთვება. და კიდევ, „სპარტაკის" საშინაო მატჩებს „ტვ 7", ხოლო „სატურნისას" „რენ ტვ" გადასცემენ. ზოგიერთი თამაში, შესაძლოა, „ენ ტი ვი პლუსმაც" აჩვენოს, მაგრამ, როგორც ვთქვით, მთავარი სახელმწიფო ტელევიზია იქნება.

ახლა საკლუბო სიახლეების შესახებ. საგაზაფხულოდ რუსულ პრემიერლიგაში ხუთი ცნობილი ლეგიონერი დაბრუნდა. პორტუგალიური „პორტუს" მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი და ესპანური „სოსიედადის" თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე იჯარით მოსკოვის „ლოკომოტივში" ითამაშებენ. ფრანგული „სენტ ეტიენის" შემტევი ალექსანდრე პანოვი დედაქალაქური „დინამოს" ხუთი წლით დაუკავშირდა, ბერძნული პაოკ-ის მცველმა ომარ თეთრაძემ ვლადიკავკაზის „ალანიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს, ხოლო კიევის „დინამოს" მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვი ორი წლით ელისტის „ურალანში" დარჩება.

შიდატრანსფერებიდან ალბათ გამოსარჩევია „ლოკომოტივის" კაპიტან იგორ ჩუგაინოვის „ურალაში" და „ანჟის" ლიდერ ნარვიკ სირხაევის რკინიგზელთა გუნდში გადასვლები, ასევე „დინამოსა" და ეროვნული გუნდის ნახევარმცველ როლან გუსევის ცსკა-ში გადაბარგება.

ჩვენთვის საინტერესო კი ზაზა ჯანაშიას საკითხია, რომელიც „ლოკომოტივის" წინასწარ განაცხადში კი შეუყვანიათ, მაგრამ კლუბში დარჩენას არ აპირებს. სხვა ქართველებზეც უახლეს მომავალში ვთქვათ, რადგან გუშინ საღამოს ოფიციალური განაცხადები ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული.

ჩემპიონობის მთავარ კანდიდატებად რუსი სპეციალისტები ისევ „სპარტაკს", „ლოკომოტივსა" და ცსკა-ს მიიჩნევენ. აგრეთვე გამოარჩევენ რამენსკოეს „სატურნს", სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" და შარშანდელი სეზონის აღმოჩენა სამარის „კრილია სოვეტოვს", რომელიც „სპარტაკიდან" გადასული ვიქტორ ბულატოვით კიდევ უფრო გაძლიერდა.

მარტში კი რუსთა მთავარი პრობლემა ცუდი მინდვრებია. მავანნი ამტკიცებენ, ჩემპიონატი აპრილამდე არ უნდა იწყებოდესო, რადგან ატალახებულ, ნახერხმოყრილ მიწაზე ჯერ რა სანახაობა უნდა იყოს და მერე ისე ფუჭდება, რომ ზაფხულის შუამდე ძლივს აღადგენენ ხოლმე. ხელოვნური გათბობის სისტემა ყველა სტადიონს აქვს და მათ თებერვლის დასაწყისიდანვე იყენებენ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის.

**სოლომონ გულისაშვილი**



„სპარტაკის" ჩილელი მარკო ვილიასეკა და ბრაზილიელი მოიზესი რუსული ჩემპიონატისთვის ემზადებიან

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უფროსებს ზოგჯერ ქებაც წამოსცდებათ

## ქარიმ აბდულ-ჯაბარს დიდი ძაღლი გამოუჩვარდა

6 მარტი

**ჩიკაგო 87:92 მაიამი**

**ჩიკაგო:** ბესტი (18), ჰასელი (4), როუზი (23), ფიზერი (12), კარი (6); ბაგარიჩი (7), ოკლი (6), რობინსონი (6), კროუფორდი (5), ჰოიბერგი
**მაიამი:** სტრიკლენდი (23), ჯონსი (14), გილი (11), გრანტი (12), მურნინგი (18); სტეფანია (18 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა), გეტლინგი (4), კარტერი (4), ჯეკსონი (2)

„მაიამის" არ ჰქონდა ამ თამაშის წაგების უფლება. ფლორიდელებმა სეზონის დასაწყისში ისედაც ბევრი მოსაგები მატჩი დათმეს და ახლა წაფორხილების ნება არ ეძლევათ.

სეზონის დასაწყისში „მაიამიმ" მოახერხა და „ჩიკაგოსთანაც" წააგო და ბევრ სხვა მარჩხალასთანაც. სპეციალისტები ამ ჩავარდნის მიზეზად იმას თვლიან, რომ ფლორიდელებს მაშინ ხეირიანი გამთამაშებელი არ ჰყავდათ. „ჰითის" მწვრთნელ პატ რაილის არ უყვარს სისუსტის აღიარება, მაგრამ ერთხელ როგორღაც წამოსცდა, გუნდში მოგვიანებით მოსულმა როდ სტრიკლენდმა ჩვენი თავი გვაპოვნინა და გადაგვარჩინაო.

მაიამელებს არ სურთ სტრიკლენდის წარსულში ქექვა და იქ მისი ზარმაცობა-უსაქმურობის დასტა მაგალითების პოვნა. მთავარი ისაა, რომ ამ ვეტერანმა „მაიამი" გამოაცოცხლა („მაიამიმ" კი სტრიკლენდი გამოაცოცხლა) და პატ რაილის ბიჭები ორი თვის წინ მათთვის დახშულად მიჩნეულ პლეიოფის კარს რომ უკაკუნებენ, ამ 35 წლის ჩამავალი ვარსკვლავის წყალობითაა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სტრიკლენდმა სეზონის უკარგესი მატჩი ჩაატარა და ზორბა თანაგუნდელ ალონზო მურნინგს ათქმევინა, როდი რომ არა, ასეთ თამაშს 10-15 ქულით წავაგებდითო.

ბოლო ხანებში გამარჯვებას გაჩვეული „ჩიკაგო" თავიდანვე გაალმასებით ეკვეთა სტუმრებს და პირველივე მეოთხედში ხუთი ქულა აართვა. შემდეგ კი დადგა „მაიამის" სამოედნო წინამძღოლის ჯერი. სტრიკლენდმა მეორე მეოთხედში თავისიანებს ბრძოლის სასწორი გაათანაბრებინა, მესამეში კი ერთი მონაკვეთი 20:3 მოაგებინა და სტუმრები 16 ქულით მოსწყვიტა მეტოქეს.

„მაიამიმ" ბოლომდე თავისაუტკივებლად შეინარჩუნა ლიდერობა, ეგაა მეოთხე მეოთხედის შუაწელს მასპინძელთა გაბრძოლებამ სამ ქულამდე დააახლოვა მეტოქესთან.

**პორტლენდი 85:78 მინესოტა**

**პორტლენდი:** ვოლესი (28 ქულა, 15 მოხსნა), პიპენი (14), უელსი (14)
**მინესოტა:** გარნეტი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა 92:84 ლეიკერსი**

**იუტა:** მელოუნი (23), სტოქტონი (19)
**ლეიკერსი:** ონილი (28), ბრაიანტი (26)

**ბოსტონი 130:110 ორლანდო**

**ბოსტონი:** პირსი (22), უოლკერი (16 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), როჯერსი (16)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (17), გარიტი (16)

**ფინიქსი 89:87 ნიუ ჯერსი**

**ფინიქსი:** მარიონი (24), მარბერი (20)
**ნიუ ჯერსი:** უილიამსი (18), მარტინი (17)

**ფილადელფია 85:76 კლივლენდი**

**ფილადელფია:** აივერსონი (46)
**კლივლენდი:** მიური (22)

**მილუოკი 92:86 კლიპერსი**

**მილუოკი:** რობინსონი (22), ალენი (20)
**კლიპერსი:** მაკინისი (16)

„იუტასთან" დაჭიდებამდე ერთი დღით ადრე შაკილ ონილს 30 წელი შეუსრულდა. მისი თანაგუნდელი კობი ბრაიანტი ჯერ მხოლოდ 23-საა, მაგრამ მათი სისხლსავსე კუნთებიანი სხეულებით გამძლავრებულმა, წინ ორი სეზონის გამარჯვებულმა და წლევანდელის მოგების ყველაზე საფუძვლიანად მსურველმა ამათმა „ლეიკერსმა", ჰოი სირცხვილო, ყურებზე ხახვი ვერ დააჭრა 38-39 წლის ბეხრეკების კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის მხრებით ნაზიდ „იუტა ჯაზს". ჩემპიონთა სირცხვილს ერთი გარემოებაც ამძაფრებს, როგორც წესი, „იუტა" სასტიკად იგვემება ბობოლა გუნდთაგან, ხუთ მოწინავე დასავლელთან წლევანდელი 13 შეხვედრიდან ერთადერთი მოეგო, ახლა კი მეორეც მიამატა. „ლეიკერსმა" კი დაკარგა დანარჩენ 28 გუნდზე ალზევების ერთობ ხელსაყრელი შანსი.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" ერთხელაც შესძახა, მე დავბრუნდიო და მინესოტელ ყორად „მგლებს" ყელები გამოლადრა. ეს იყო ორეგონელთა ზედიზედ მეთერთმეტე ზეობა მეტოქეზე, ხოლო მისი სულისჩამდგმელი გახლდათ მივიწყებული სიდიადე, სკოტი პიპენი რომელმაც ბოლო დროს შეახსენა თავი დუნიას. უწინ უფრო დიადი მაიკლ ჯორდანის მარჯვენა ხელმა და ახლო წარსულში „პორტლენდის" ბევრი გამარჯვების გამომჭედმა სკოტიმ უფიცხესი ბრძოლის ბოლო მეოთხედის ერთ, 37-წამიან ეპიზოდში შვიდი ქულა გამოჰგლიჯა კბილბასრ, თუმც ნამდვილ ბრძოლაში გამოუცდელ „მგლებს" და დამსწრენი აღაფრთოვანა.

ერთი ლამაზი გამარჯვება შეიმატა „ბოსტონ სელტიქსმა". „კელტებმა" ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად მოიხვეჭეს ერთ მატჩში 130 ქულა. თავი განსაკუთრებით არავის გამოუჩენია, სამაგიეროდ, იმ თამაშში მოედანზე შესული თერთმეტი ბოსტონელიდან ერიკ უილიამსისა და კედრიკ ბრაუნის გარდა ყველამ ჩააგდო სულ ცოტა, ათი ქულა.

რევანში აიღო „ფინიქს სანზმა". ამ სეზონის დაწყებამდე ლიდერ ჯეისონ კიდის სტივენ მარბერიში გამცვლელმა ფინიქსელებმა ამას წინათ კიდის ახალ გუნდ „ნიუ ჯერსისთან" სტუმრობისას დიდი სირცხვილი ჭამეს, ახლა კი თავად აყლაპეს „ნიუ ჯერსის" კიდთან ერთად. მართალია, „ფინიქსის" გამარჯვება წინანდელ მარცხზე შთამბეჭდავი ვერ იყო, მაგრამ გულის მოსაოხებლად კი გამოდგა.

„ფილადელფიას" სამსახურში მყოფმა ალენ აივერსონმა ეს ბოლო დღეებია, გაიხსენა, რომ ლიგის მასშტაბით სწორუპოვარი მექულეა და აგერ, ბოლო ათ თამაშში მესამედ ასცდა 40 ქულიან თამასას.

მილუოკიში „მილუოკიმ" წყნარი ოკეანის მშფოთვარე მონაპირე ლოს ანჯელესიდან ნასტუმრები „კლიპერსი" გვემა. მასპინძელთა ფრთამ გლენ რობინსონმა ჩვეულებისამებრ ორ ათეულზე ოდნავ მეტი ქულა ჩაუგდო მეტოქეს. ამ ამბავმა ყურადღება მიიქცია, რადგან „მილუოკის" მაისურით მერვე წლის განმავლობაში მორბენალმა „დიდმა ძაღლმა" (რობინსონის მეტსახელია) კარიერაში 11 596 ქულა შეაგროვა და გუნდის ყველა დროის უყოჩაღეს მექულეთა სიაში მესამე ადგილზე ჩამოაგდო 80-იანელი მილუოკელი სიდნი მონკრიფი. რობინსონზე წინ ახლა მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარია თავისი 14 211 ქულით.

**ირაკლი ფირცხილი**




REUTERS

იუტა — ლეიკერსი. წაქცეულ იუტელ კარლ მელოუნს თავი ქუდში აქვს

## თვის მოთამაშეები

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
| --- | --- |
| ტრეისი მაკგრეიდი • ორლანდო • | კევინ გარნეტი • მინესოტა • |






**თებერვალი** გავიდა და საინტერნეტო სტენდებზე გასული თვის ოფიციალურ რჩეულთა სახელებიც გაჩნდა თვის მოთამაშებად ლიგამ აღმოსავლეთში „ორლანდოს" ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი, ხოლო დასავლეთში „მინესოტას" იმედი კევინ გარნეტი დაასახელა.

ჩვენში დარჩეს და, ტიტულთა (მაგალითად, თვის მოთამაშის, კვირის მოთამაშის, თვის ახალბედას და სხვ.) ორად გაყოფით და კონფერენციათა რჩეულების განცალკევებულად დასახელებით ნბა-ს დიდი სისულელე მოუვიდა. ამ არავისთვის ძვირფასმა ტიტულებმა ისედაც მკრთალი ციალი ამით სულ დაკარგა.

თვის მოთამაშეობა აღმოსავლელ-დასავლელთათვის ცალკე პრიზად რომ არ დაეწესებინათ, თებერვლის საუკეთესოობას ტრეისი მაკგრეიდის ვერავინ წაართმევდა. ამ ჯეელმა წინა თვეს ბევრით ასარგებლა თავისი გუნდი, „სან ანტონიოსთან" თამაშში კარიერაში უმეტესი, 16 მოხსნა მოიხვეჭა, ხოლო „ფილადელფიას" ძლევისას ცხოვრებაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა. თებერვლის 11 თამაშში („ორლანდომ" აქედან რვა მოიგო) მაკს საშუალოდ 26,1 ქულა, 8,7 მოხსნა და 6,3 პასი დაუგროვდა.

რაც შეეხება კევინ გარნეტს, მინესოტელი წოწოლა მთელ ნბა-ში თუ არა, ნახევარში მაინც გახლდათ საუკეთესო თავისი 22,1 ქულით, 11,9 მოხსნით და 5,1 პასით და იმის აღნიშვნაც ეგების, რომ მისმა „მინესოტამ" თორმეტი მეტოქიდან რვას კუდით ქვა ასროლინა.

სეზონის პირველ სამ თვეში — ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში ახალბედებში უთუმცაო პირველი „მემფისის" ესპანელი თავდამსხმელი პაუ გასოლი იყო, მაგრამ აი, თებერვალში გოლდენსტეიტელ ჯეისონ რიჩარდსონს ვერავინ შეეტოლა. რიჩარდსონმა განსაკუთრებით გამოიდო თავი 10 თებერვალს ფილადელფიაში გამართულ საოლსტარო ჟრიამულობაში, სადაც ჩატენვების კონკურსიც მოიგო და გარდა ამისა, ახალბედებს მეორეწლიანები დაამარცხებინა. მართალია, მისი „გოლდენ სტეიტი" ვერაფერი ბედენა გუნდია და ერთთავად აგებს, მაგრამ ეს რიჩარდსონის გარჯას არ კარგავს და მის მიერ მატჩში საშუალოდ მოხვეჭილ 19 ქულასაც ვერ ჩქმალავს.

რიჩარდსონს თებერვალში დასავლეთის საუკეთესო ახალბედობა ერგო, აღმოსავლეთში კი ანალოგიურ ტიტულს ჩიკაგოელი ტრენტონ ჰასელი დაეპატრონა. მის მიერ თებერვლის შეხვედრებში საშუალოდ მოხვეჭილი თითქმის თერთმეტი ქულა „ჩიკაგოს" 13 თამაშიდან ექვსის მოგებაში დაეხმარა.

ცნობილია თებერვლის საუკეთესო მწვრთნელი. სწორედ მწვრთნელი და არა მწვრთნელები, რადგან მხოლოდ ეს ტიტული გადაურჩა დაყოფას. თებერვლის საუკეთესო დამრიგებლად დამსახურებულად აღიარეს „დეტროიტის" წინამძღოლი რიკ კარლაილი.

## კორაჩის თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 6 მარტი

დიჟონი (საფრანგეთი) — ნანსი (საფრანგეთი) 79:66 (72:92)
მარუსი (საბერძნეთი) — ფუენლაბრადა (ესპანეთი) 73:63 (82:84)
პივოვარნა (სლოვენია) — მაკაბი (ირონი, ისრაელი) 75:65 (58:68)
პროკომი (პოლონეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 66:93 (74:87)

ნახევარფინალური წყვილები

ნანსი — პივოვარნა; მარუსი — ლოკომოტივი

## საპორტას თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. 5 მარტი

პამესა (ესპანეთი) — ისტუდიანტესი (ესპანეთი) 89:68 (80:77)
სნაიდერო (იტალია) — ჰაპოელი (ისრაელი) 78:87 (74:71)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 71:63 (74:80)
სიენა (იტალია) — სტრასბური (საფრანგეთი) 74:66 (78:78)
ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — სპლიტი (ხორვატია) 84:70 (100:67)
ტელეკომი (გერმანია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 83:84 (91:88)
ირაკლისი (საბერძნეთი) — უნიქსი (რუსეთი) 84:76 (79:91)
სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ანველი (პოლონეთი) 74:68 (78:95)

მეოთხედფინალური წყვილები

უნიქსი — სიენა; ჰაპოელი — ლიეტუვოს რიტასი
ტელეკომი — პამესა; პანიონიოსი — ანველი


## ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!

ხვალ, 9 მარტს 12 საათზე რიყის მოედანზე ჩატარდება ავტომოყვარულთა შეჯიბრება ჩქაროსნულ მანევრირებაში. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომოყვარულს. მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს რიყის მოედანზე 10 საათიდან.

# ანამანია თუ მარიამანია?!

## კურნიკოვას მემკვიდრე გაუჩნდა

**ინდიან უელსი. კალიფორნია. პრიზი საპრიზო 2,1 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ლილია ოსტერლო (აშშ) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:1, 6:4; მარია შარაპოვა (რუსეთი) — ბრაი რიპნერი (აშშ) 5:7, 6:2, 6:2; მაია მატევჟიჩი (სლოვენია) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4; ტინა პისნიკი (სლოვენია) — კვეტა პრშლიკოვა (ჩეხეთი) 5:7, 6:4, 6:3; ნატალი დეში (საფრანგეთი) — სელინ ბეგბეჟე (საფრანგეთი) 6:1, 6:0; იანა კანდარი (გერმანია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:4, 6:4**

დედარუსეთის მოსახლეობა ყოველწლიურად 1 მილიონით კი მცირდება, მაგრამ მზარდი სექსგოგოების ნაკლებობას ჯერჯერობით მაინც არ უჩივის. თავისთავად ცხადია, ჩვენ უწინარესად საჩოგბურთო მატება გვაინტერესებს. ამ თვალსაზრისით რუსებს საქმე მისალოცად აქვთ — ბოლო წლების უმთავრეს სექსმეჩოგნესა და, ვაგლახ, ვერეც სუპერმეჩოგნედ ვერქცეულსა და ბოლომდე სუპერსექსგოგოდ დარჩენილ ანა კურნიკოვას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. კონკურენტი მისი თვისტომია, 14 წლისაა და მარია შარაპოვა ჰქვია.

ინდიან უელსის დიდბობოლა ტურნირის პირველსავე დღეს შეყრილ მილეთს ანასა და მარიას მიყოლებით ხილვის საშუალება მიეცა. თუკი სექსანამ მაყურებელს თავი მხოლოდ დაბრაწული ფეხებით დაამახსოვრა და იქაურ ლილია ოსტერლოსთან უჯიგრო თამაშის შედეგად წაზლა, მარიამ ქომაგები ყირმიზი გარეგნობითაც მოხიბლა და ასაკისთვის შეუფერებლად მძლავრი თამაშითაც.

ჩოგბურთის ექსპერტებს, სპონსორებსა და მერეკლამეებს ეჭვი არც აქამდე ეპარებოდათ, ხოლო მარიას გუშინდელი სა-WTA-ო დებიუტის შემდეგ უკვე მტკიცედ სჯერათ, რომ კენარ ციმბირელ გოგოს ძალაც საკმარისი აქვს და სილამაზეც, რათა უახლოეს მომავალში კორტისშიდა სამყაროც დაიპყროს და კორტისგარეც.

შარაპოვას რაგინდარა ფოტოებს უკვე მრავლად იპოვით „როლინგ სტოუნზში", „ვენიტი ფეარსა" თუ „სპორტს ილუსტრეიტედში". „სპორტს მეგეზინმა" კი ნორჩი მარია ამთავითვე შეიგულა 21-ე საუკუნის იმ 21 სპორტსმენს შორის, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოჩნდებიან ჟურნალ-გაზეთებისა თუ ელექტრონული მედიის თავფურცლებსა და პირველკადრებში. ამიტომაცაა, მის სპონსორთა სიაში „ნაიკსა" და „პრინსს" მალე „აიემჯი" და სხვა მსხვილი მეფულეებიც რომ შეუერთდებიან.

„მე პატივს ვცემ კურნიკოვას, მაგრამ მის მიბაძვას სულაც არ ვცდილობ. მინდა უბრალოდ მარია შარაპოვა ვიყო და მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ჩემი თამაში ვითამაშო" — უთქვამს მას ნამატჩევს.

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, მარია თავის თამაშს უკვე თამაშობს. ბრაი რიპნერთან წაგებული პირველი სეტის შემდეგ მან გამოაჩინა ის, რაც კურნიკოვას, თავისი ეშხიანი კიდურებისგან განსხვავებით, ალბათ არასოდეს გამოუჩენია — მტკიცე, ბაგემოკუმული ხასიათი.

ეს ბაგეები მაცდურ სლავურ ღიმილად მხოლოდ მაშინ იშლებიან, როცა მარია სრულყოფილი ინგლისურით ლაპარაკობს. ეს არცაა გასაკვირი — უკვე 7 წელია, რაც მშობლებთან ერთად ატლანტიკის გაღმა ცხოვრობს. რუსები კი კიდევ იძახიან, რომ...

მოკლედ, დედოფალი წავიდა, გაუმარჯოს დედოფალს!

ანას მატჩი?

ამას განსაკუთრებული ყურადღება არც გუშინ დათმობია და რაღა დღეს დავუთმოთ?

მარიას კი მეორე წრეში თვით მონიკა სელეში გამოცდის. ვნახოთ, ვინ ვის — მონიკა მარიკას თუ პირიქით!

**სკოტსდეილი. არიზონა. პრიზი საპრიზო 400 ათასი $**

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ) — გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) 6:4, 6:4; ნოამ ოკუნი (ისრაელი) — ალბერტ პორტასი (6, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ალექს კორეჩა (5, ესპანეთი) 6:4, 7:5; ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:4**

ბრიტანელ გრეგ რუზედსკის მთელ საჩოგბურთო ამქარში ერთი ყველაზე ხათქუნა ჩაწოდება აქვს. მისი ჩანაცაცეები ხშირად საათში 149 მილს აღწევს ხოლმე. მაგრამ ჯერ ერთი და, არა ხოლო ჩაწოდებითა ერთითა, ხოლო მეორეც, როცა საქმე ანდრე აგასისთან თამაშს ეხება...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჯადოანდრანიკმა ბრიტანელთან მე-7 პირადი შეხვედრა ითამაშა და მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. წინა დღეს შარშანდელი ჩემპიონისა და მისი გამამწვრთნელის, ფრანსისკო კლავეტის გაპანღურების შემდეგ აგასის საბულრაო განწყობა ჰქონდა და თავიდანვე ისე მედგრად ათამაშდა, რომ რუზედსკის მის უპირატესობაში დასაეჭვებლად ერთი შანსიც არ მისცა. თითო-თითო სეტში თითო გეიმი წაჰგლიჯა (2:2-ზე პირველში და 0:0-ზე მეორეში), საერთოდაც ციბრუტივით იტრიალა და ისე წერაქვივით უბრახუნა, რომ 10 მარტოეისი ჩააფარა. შეხვედრამ 65 წუთი გასტანა და აგასის კაცური სიამოვნება მოჰგვარა — ჰო, მართლაც ბასრად, მკვირცხლად და მიძალებით ვითამაშე. რუზედსკის კი რაღა: „არც არაფერი. ცუდად ნაღდად არ მითამაშია, მაგრამ ანდრე არიზონულ უდაბნოეთს ჩვენზე ყველაზე კარგად შეეგუა და ამიტომაც მასთან დამარცხებას ჩემთვის ხასიათი არ გაუფუჭებია" — უთქვამს.

მეოთხედფინალში აგასი შეხვდება ხუან იგნასიო ჩელას, ვინაც შინ გაისტუმრა გატლანქებული ალექს კორეჩა. ბოლო კვირებში ჩელა მართლაც ჩაუქად და თავდაჯერებით თამაშობს, ჩინებული ჩაწოდებითაც გამოირჩევა და, ვინძლო, შეიდგზის მედიდსლემე ამერიკელს ფიცხელი ბრძოლაც შესთავაზოს.

მეორე მეოთხედფინალურ წყვილს ებრაელი ნოამ ოკუნი და ესპანელი ხუან ბალსელსი შეადგენენ. ოკუნი დღის მთავარი მესენსაციე შეიქნა, რადგან მის მიერ მსოფლიოს 26-ე ჩოგნის მჭნეველი ესპანელი პორტასის ძლევას ბევრი არ ელოდა. ეს ოკუნის პირველი სა-ATP-ო მეოთხედფინალი იქნება და, რა გასაკვირია, ესპანელთან მატჩს მან კარიერის საუკეთესო მატჩი რომ უწოდა.

**დელრეი ბიჩი. ფლორიდა. პრიზი საპრიზო 400 ათასი $**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 6:1; ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:7 (5:7), 6:3, 7:6 (8:6); ნიკოლას მასუ (4, ჩილე) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:4, 6:4; დავიდე სანგვინეტი (5, იტალია) — კრისტოფ როში (ბელგია) 0:6, 6:4, 6:1; პარადორნ სრიჩაფანი (ტაილანდი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 5:7, 6:4, 6:4; მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 5:0 (კალატრავამ შეწყვიტა)**

მეორე წრეში გასაღწევად შარშანდელ გამარჯვებულ ჟან-მიშელ გემბილს თავის გამორჩევით მძიმე მეტოქესთან, უეინ ართურსთან ჭიდაობა მოუხდა. ამ შეხვედრაშიც, ისევე როგორც მათი სამსეტიანი 4 წინა შეხვედრიდან უკანასკნელ სამშიც, ყველაფერი ტაიბრეიკზე გადაწყდა. ართურსმა ამჯერად 3 მატჩბურთის გაუძლო, მაგრამ მეოთხეზე უკვე ძალამ კორტი გახნა — გემბილმა მე-4 პირად შეხვედრაში მე-4 გამარჯვება წაჰგვარა.

სხვაფრივ — ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ენდი როდიკმა, გუშინწინ ATP-მ თებერვლის „მზარდ ვარსკვლავად" რომ მიიჩნია, მზარდ რუს მოვარსკვლავო დავიდენკოს სძლია. არადა, პირველ სეტში 1:4 აგებდა და... მოკლედ, მერე ზედიზედ 5 გეიმი მოიგო და მატჩიც უპრობლემოდ ჩაანავლა.

პრობლემები არც დანარჩენ განთესილებს შექმნიათ. ალექს კალატრავას კი ზურგის ტრავმამ მოუღო ბოლო, თუმცა ზურგი რომც არ ტკენოდა, ან შეძლებდა მიშელ ლოდრასთან ტოლსწორად პაექრობას, ანაც — ვერა.

**ლევან ბელაურაძე**




ანა შარაპოვა: ჯერაც ბავშვი და უკვე ამდენი ყურადღება!

ჭადრაკი

**ლინარესის სუპერტურნირი**




მეათე ტურის მთავარი პარტია ზავით დასრულდა

# სიცილიური ამბები

## ბევრი ომი და ცოტა მშვიდობა

**ლინარესის** სუპერტურნირის მე-10 ტურში შენარჩუნდა ის იშვიათი და საამო ტენდენცია, რომელიც რამდენიმე ტურის წინ ჩაისახა. მოჭადრაკეები ყაიმებს უფრთხიან და ამჯერად მხოლოდ ერთგან მოეწერა ხელი მშვიდობას, თუმც ის ერთი ცენტრალური დაფა იყო.

ვიშვანათან ანანდს თეთრები ჰყავდა გარი კასპაროვის წინააღმდეგ, ამიტომ მოგებასა და „სუპერდიდოსტატის" შელახული იმიჯის აღდგენაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ პარტიამ თითქმის თეორიულ კალაპოტში იდინა და 39 სვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. კასპაროვის კომენტარით, თეთრები 27-ე სვლაზე შეცდნენ და მცირე ინიციატივაც დაკარგეს, რის შემდეგაც შავებს ენდშპილში წარმატებაზე ფიქრი შეეძლოთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

სხვაგან სისხლი დაიღვარა. ვასილი ივანჩუკმა ფრანცისკო ვალეხოს ნოკაუტით მოუგო. ესპანელი შეცდა, როცა თავის ბანაკში შეიკეტა და პოზიცია ჩახურა. ივანჩუკს და „ბარსელონას" ტერიტორია თუ დაანებე და თავისუფლად ათამაშე, გადაგივლიან (ამას „ბარსელონას" ფანი არ გეუბნებათ, საერთო აზრია), ამიტომ ვალეხო უკვე 23-ე სვლაზე გაიწირა უიმედო პოზიციაში.

დიდი ჭადრაკის ფრაგმენტი გახლდათ მაიკლ ადამსის და ალექსეი შიროვის პარტიაც, რომელშიც ბრიტანელმა ისე მოუქცია საქმე მეტოქეს, რომ შიროვის შავ მეფესთან იყვნენ ეტლები, პაიკები და კუ, მაგრამ საქმის მკვლევი ბელი არც ერთი, ამიტომ შიროვი 31-ე სვლაზე დანებდა და საერთო კი მე-10 ტურის პარტიებს სიცილიური დაცვა ჰქონდათ.

**დავით გულუა**

| ვითარება 10 ტურის შემდეგ |
| --- |
| 1. კასპაროვი 5; 2-4. პონომარიოვი, ივანჩუკი, ანანდი 4,5; 5-6. ადამსი, შიროვი 4; 7. ვალეხო 3,5 |

რაგბი

# მეზობელო კარისაო, ტკივილი ხარ თავისაო

**მსოფლიოს** თასამდე წელიწადი რჩება, თუმც ტურნირის ოფიციალური პრეზენტაცია ჯერ არ შემდგარა. მიზეზი საორგანიზაციო საკითხების მოუგვარებლობაა, რაც მასპინძელი ქვეყნების — ავსტრალიისა და ახალ ზელანდიის ქიშპობამ გააჰიანაურა.

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) მეზობელ ქვეყნებს 2003 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობა ოთხი წლის წინ ანდო. სამხრეთელი ბობოლებიც იმთავითვე შეუდგნენ სამზადისს. საქვეყნოდ გაიძახოდნენ, მუშაობის გრაფიკს ნაბიჯით ვუსწრებთო. IRB-მაც თავი დაიარხეინა, აქაოდა, ეგენი თავად მოაგვარებენ ყველაფერს, ჩვენ მარტო ბეჭედს დავკრავთო. პრეზენტაციის დრომაც მოატანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეზობლებს საერთო ენა ვერ გამოენახათ. შედეგად სიდნეიში იქით კვირას დანიშნული ოფიციალური მხარე საშემოდგომოდ გადაიდო.

ასე რომ, ჯერაც გაურკვეველია, ჯგუფური მატჩები სად და როდის გაიმართება, ცნობილი არაა არც განთესვის სისტემა და პლეი ოფის განრიგი. ახლა ამაზე რატომ ვერ თანხმდებიან მეზობლები. არახალია, რომ ამგვარი ტურნირები ზემოგებიანთა რიცხვს განეკუთვნება. იქით ტრანსლაციებით და ბილეთების გაყიდვით შემოსული ფული, აქეთ რეკლამა, ერთი სიტყვით, მასპინძლების და IRB-ს სალაროში ფული ნიჩბით სახვეტი იქნება. მარიფათიანმა ოზებმა წინასწარ დათვალეს და როცა მათმა წილმა 30 მილიონ აშშ დოლარს უწია, სიხარული ვერ დამალეს. მაგრამ ამაზე „კივებმა" დაიბოღმეს: რაკი მცირერიცხოვანნი ვართ და ბილეთებიდან ნაკლებ ხეირს ვნახავთ, საერთო შემოსავალი თანაბრად უნდა გაჰყდესო. ოზებმა თავიდან იუარეს, მაგრამ მერე ერთი მესამედის დათმობას დაყაბულდნენ, ოღონდ სანაცვლოდ რომელიმე ჯგუფური ანაც პლეი ოფის ერთი მატჩის დამატებით ავსტრალიაში გამართვა მოითხოვეს. „კივებმა" უარი სტკიცეს, სრულიად ახალი ზელანდია რაგბით ცხოვრობს და ხალხს ასეთ ზეიმს არ დავაკლებთო. ავსტრალია დათმობას არ აპირებს, რადგან ამჯერად პრივილეგიებით სწორედ იგი სარგებლობს, რაკი 1987 წელს ამავე ქვეყნებმა მსოფლიოს თასს ერთობლივად რომ უმასპინძლეს, მეტუფლებიანი ახალი ზელანდია იყო. ამით გულმოცემულმა ოზებმა ჩუმად იჩალიჩეს და განთესვის იმგვარი ვარიანტი შეიმუშავეს, რომ ბობოლები — ინგლისი და სამხრეთ აფრიკა ავსტრალიურ მიწაზე ითამაშებდნენ. ამაზე ხომ აფეთქდა ერთი ამბავი და საქმეში IRB-ც ჩაერია. ჩაერია და კიდევ ერთი პრობლემაც ამოქექა. საქმე ისაა, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის დღეებში პროვინციათა ეროვნული ჩემპიონატი არ შეწყდება. IRB კი მოითხოვს, უკვე შერჩეულ რვა სტადიონზე მხოლოდ მსოფლიოს თასის მატჩები ჩატარდეს. რაც ახალზელანდიური რაგბის მამებს არ სურთ. თუ ზელანდიელებმა სტადიონების პრობლემა დროულად არ გადაჭრეს, გამორიცხული არაა, უძლიერესმა ორგანომ ურჩებს ყური აუწიოს. რა ფორმით, ეს მერე გაირკვევა. დავულოდოთ შემოდგომას, მანამდე დიდი დროა და ვგებ ამ სამკუთხედსაც საერთოს გამონახვა აღარ გაუჭირდეს. IRB-ის თავმჯდომარე, საქვეყნოდ ცნობილი ვექილი ვერნონ პოუ იმედიანადაა და ირწმუნება, ყველაფერი მოგვარდება და ავსტრალია — ახალი ზელანდია მალე მოაწერენ ხელს მსოფლიოს თასის მასპინძლობის კონტრაქტსო.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიროლის მთებო...

## შტეფან ებერჰარტერს თავის დანებება უნდა




შტეფან ებერჰარტერმა ქვეყანას გლობუსის თვალებით შეხედა

„დავიღალე, დასვენება მინდა" — თქვა გუშინ 33 წლის შტეფან ებერჰარტერმა, როცა ბროლის ორი პატარა გლობუსით კამერების და ფოტოაპარატების წინაშე პოზიორობდა. უნდა ითქვას, რომ ებერჰარტერს მალე დიდ გლობუსსაც გადასცემენ და ეს ცერემონიალი შედგება ცოცხლად ლეგენდარული ჰერმან მაიერის მშობლიურ ფლაჰაუში, სადაც მსოფლიოს თასის ბოლო სერია გათამაშდება.

ეს გლობუსები — ადრეც ხშირად გვითქვამს — მსოფლიოს თასის რჩეულებს გადაეცემათ. პატარები — ცალკეული დისციპლინებისთვის (სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი, სწრაფდაშვება), ხოლო დიდს ყველაფერში ერთად საუკეთესო მიიღებს. ებერჰარტერმა თასი ორიოდე დღის წინ გაიფორმა, რადგან იმდენი ქულა აქვს, თავში აგური რომ დაეცეს და რომელიმე მეტოქემ ყველა დარჩენილი ეტაპი მოიგოს, მაინც ვერ დაეწევა. უბრალოდ, ცერემონიალია მაინცდამაინც ბოლოში დაგეგმილი.

ებერჰარტერის ახალი მოგახსენეთ და, ალბათ, ის დროა, ხრიალით ფულის მოხვეჭას შეეშვას და მოხვეჭილის შერგებაზე იფიქროს. ბედს ვერ დაემდურება, წლევანდელი წელი მაინც ერთობ მოსავლიანი გამოუვიდა. თასის მოგებასთან ერთად ყველა ჯურის მედალი წამოიღო სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადიდან და მათ შორის გიგანტური სლალომის ოქრო, რასაც ნაკლებად ელოდა.

და მაინც, ებერჰარტერი ერთ სეზონს ალბათ, კიდევ ისრიალებს. ბევრს წუწუნებს, ვერ ვუძლებო, მაგრამ ნერვებს უშლის მუდმივად ჰერმან მაიერს რომ ადარებენ, კაის მოიგებდი, იმასაც რომ ესრიალაო. შეიძლება ამიტომაც უნდა ერთი სეზონით დარჩენა. გაისად მაიერიც ჯანმრთელად იქნება და რაღაცეების დამტკიცების საშუალებაც ექნება.

გუშინდელი სუპერგიგანტი ავსტრიის ალტენმარკტში შედგა, ზაუხენზეეს ტრასაზე, და თუ პატარა გლობუსი უნდოდა, ებერჰარტერს მარტივი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა: მინიმუმ მე-15 ადგილზე გასულიყო, თან იმ პირობით, რომ შვეიცარიელი დიდიე სუშე იქნებოდა პირველი. სხვებს დაწევის თეორიული შანსიც აღარ დარჩენოდათ.

სუშე მართლაც პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ არც ებერჰარტერს დასცდენია ფეხი, ისრიალა სოლიდურად, რაც მთავარია, რისკის გარეშე და მე-4 ადგილმა სავსებით დააკმაყოფილა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ სეზონის 6 სუპერგიგანტიდან, როცა ტიროლის მთების შვილი პოდიუმზე არ იდგა, მაგრამ რა დროს პოდიუმი იყო.

„მე ვიცოდი, რომ სუშე გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებდა — უთხრა მთიელის გაუთლელსახიანმა, მაგრამ საერთოდ ზრდილობით სავსე ებერჰარტერმა მასმედიას — არავითარი რისკი! ჩემი საქმე ფინიშამდე მიღწევა იყო. გამარჯვებაზე ფიქრი არც გამკარებია."

10 მოწინავე ადგილიდან 5 ავსტრალიელებმა დაიკავეს, თასის ფინიში კი, როგორც გითხარით, ფლაჰაუშია. იქ გიგანტური სლალომი და სლალომი უნდა შედგეს.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| 1. დიდიე სუშე (შვეიცარია) 1.25,53; 2. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1.25,88; 3. ალექსანდრო ფატორი (იტალია) 1.26,14 |
| **სუპერგიგანტის საბოლოო ჩათვლა** |
| 1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 470; 2. დიდიე სუშე (შვეიცარია) 426; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 326 |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1642; 2. კეტილ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) 1052; 3. დიდიე სუშე (შვეიცარია) 1024 |

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტო ბაზარში უნდა წავიდეს

**6 მარტი**

**დეტროიტი 6:2 ტორონტო 3:0 1:2 2:0**
**1:0 ჯ. უილიამსი (11), 2:0 ფიოდოროვი (16), 3:0 რობიტაილი (18), 4:0 ლარიონოვი (32), 4:1 კაბერლე (34), 4:2 სუნდინი (38), 5:2 ფიოდოროვი (41), 6:2 ევერი (50)**

დროა, ტორონტოს გენერალური მენეჯერი პეტ ქუინი გონს მოეგოს და გუნდი ახალი მოთამაშეებით გააძლიეროს, თორემ დედლაინი კარსაა მომდგარი. აღმოსავლეთის ერთ-ერთ ლიდერს ლამის ერთდროულად სამი წამყვანი მოთამაშე დაუშავდა, ვინ იცის, მოასწრებენ კი ისინი პლეი ოფამდე გამოჯანმრთელებას? თუ დმიტრი იუშკევიჩისა და ალექსანდრ მოგილნის დანაკლისის ანაზღაურება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, მეკარე კერტის ჯოზეფის არყოფნა საბედისწერო გახლდა. ჩემპიონატის ლიდერ დეტროიტთან შეხვედრა თითქოს უაღრესად დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, სერიოზული ბრძოლა არ შედგა. თანაც მასპინძლებს თავის გამოდებაც არ დასჭირდათ, რადგან ვერც კორი შვებმა და ვერც ლიგაში პირველად გამოჩენილმა სებასტიან სენტომომ (მეორე პერიოდში ჩადგა კარში) „კუჯო" ღირსეულად ვერ შეცვალეს. ასე რომ, დედლაინისწინა ტორონტოს დიდი აქტიურობა მართებს სატრანსფერო ბაზარზე. როგორც ვარაუდობენ, სულ მალე გუნდში ან კაროლინელი ტომ ბარასო მივა, ან დალასელი ედ ბელფორი. საინტერესოა, რომ ბელფორი ბოლო მატჩებში ძირითადიდან მარტი ტურკომ განდევნა, თან ისედაც დაძაბა ურთიერთობა კლუბის მესვეურებთან, ხოლო ვანკუვერთან ერთ-ერთ წინა მატჩში კვლავ აურია და გასახდელში რბევა მოაწყო.

**ვაშინგტონი 3:2 კალგარი 1:1 1:1 1:0**
**1:0 ბონდრა (8), 1:1 იგინლა (9), 2:1 ბონდრა (23), 2:2 უილმი (35), 3:2 გონჩარი (58)**

ვაშინგტონელმა პეტერ ბონდრამ უცნაური მატჩი გამართა. „სლოვაკმა მსროლელმა" თავისი გუნდი ორჯერ დააწინაურა, მაგრამ ამ გოლების შემდეგ მეტოქეებიც ახეირა — ჯერ იგინლას თავის კართან აჩუქა შაიბა, მანაც შეირგო და სეზონში პირველმა გაიტანა მე-40 გოლი, შემდეგ კი კლარკ უილმი ვერ შეაჩერა. საბედნიეროდ, სერგეი გონჩარმა იმარჯვა და დედაქალაქელებმა მეტოქეს მნიშვნელოვანი ორი ქულა გამოჰგლიჯეს.

**მონრეალი 5:3 ბოსტონი 2:2 2:0 1:1**
**1:0 ტიუნო (1), 2:0 ტიუნო (1), 2:1 ლაპოინტი (11), 2:2 რივერსი (13), 3:2 ბერეზინი (22), 4:2 პერო (27), 4:3 პოგი (44), 5:3 ზედნიკი (58)**

მონრეალის მეკარე ჯეფ ჰეკეტს გმირული თამაში და თავგანწირვა ტრავმის ფასად დაუჯდა. მთელი მატჩის განმავლობაში მოულოდნელმა გოლკიპერმა 48-ე წუთზე განსაკუთრებულად ლამაზად მოიგერია შაიბა, როცა გაწოლილმა კარის ხაზზე გააჩერა იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ამ ეპიზოდში გაურთულდა ძლივს მორჩენილი ტრავმა. სამაგიეროდ, გუნდისთვის საჭირო ორი ქულა მაინც მოიპოვა.

**ტამპა 2:3 ედმონტონი 1:0 1:2 0:1**
**1:0 ანდრეიჩუკი (18), 1:1 სტეიოსი (24), 1:2 მარჩანტი (29), 2:2 პროსპალი (35), 2:3 მორო (43)**

**დალასი 3:2 ლოს ანჯელესი 1:0 1:1 0:1 1:0**
**1:0 ლემტინენი (13), 1:1 დემპსი (33), 2:1 მატვიჩუკი (36), 2:2 პალფი (58), 3:2 მოროუ (64)**

ვისაც დალასის დამარცხება სურს, საქმე პირველ ორ პერიოდში უნდა მოამთავროს, თორემ თუ ბოლო მესამედს დაწინაურებულმა უწია, მისი დამარცხება შეუძლებელია. ლოს ანჯელესთან მოგება „ვარსკვლავებისთვის" ზედიზედ 49-ე გახდა, როცა ორი პერიოდის შემდეგ მიჰყავდათ ანგარიში. ეს ლიგის ახალი რეკორდია.

**კოლორადო 4:1 კოლუმბუსი 1:1 3:0 0:0**
**1:0 ფუტი (10), 1:1 ვაიტნი (13), 2:1 რაინმრეხტი (26), 3:1 უილსი (33), 4:1 მესიე (39)**

**ატლანტა 1:4 ანაჰაიმი 0:1 0:2 1:1**
**0:1 კარნი (13), 0:2 კარია (24), 0:3 ჩელბერგი (25), 0:4 კარია (49), 1:4 ჰიტლი (54)**

სტუმართა უპირატესობა თვალსაჩინო იყო. ატლანტამ პირველად მე-190 წუთზე დაარტყა. მასპინძელთა ერთადერთი გოლის ავტორი დანი ჰიტლი 52(20+32) ქულით კვლავ დაწინაურდა ახალბედებს შორის. მას ერთი ქულით თანაკლუბელი ილია კოვალჩუკი ჩამორჩება.

**სამველ ლარიბიანი**




REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონელი კრის საიმონი კალგარელებს ესტუმრა

ბალახის ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი კუალა ლუმპური, მალაიზია

**7 მარტი**

ნახევარფინალი

**გერმანია 3:2 სამხრეთ კორეა**
**ავსტრალია 4:1 ჰოლანდია**

პლეი ოფი V-VIII ადგილებისთვის

**პაკისტანი 2:1 მალაიზია**
**არგენტინა 2:1 ინგლისი**

პლეი ოფი IX-XII ადგილებისთვის

**ინდოეთი 3:0 ესპანეთი**
**ახალი ზელანდია 3:3 იაპონია**

(ძირითადი დროის შემდეგ 7:6)

პლეი ოფი XIII-XVI ადგილებისთვის

**სამხრეთ აფრიკა 5:1 კუბა**
**ბელგია 2:1 პოლონეთი**

მომავალი მატჩები

**8 მარტი**

მატჩი V ადგილისთვის

**არგენტინა — პაკისტანი**

მატჩი VII ადგილისთვის

**ინგლისი — მალაიზია**

მატჩი VIII ადგილისთვის

**ინდოეთი — ახალი ზელანდია**

მატჩი XI ადგილისთვის

**ესპანეთი — იაპონია**

მატჩი XIII ადგილისთვის

**სამხრეთ აფრიკა — ბელგია**

მატჩი XV ადგილისთვის

**კუბა — პოლონეთი**

**9 მარტი**

ფინალი

**გერმანია — ავსტრალია**

მატჩი III ადგილისთვის

**სამხრეთ კორეა — ჰოლანდია**




REUTERS კუალა ლუმპურიდან

ავსტრალიელები მეტიუ ველსი და ლაჩლან დრეპერი სამხრეთკორეელთა ძლევას და ფინალში გასვლას ხარობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპილბერგები



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" თამაშებზე, „სტეიპლზ სენთერის" უძვირეს ადგილებზე ჯეკ ნიკოლსონის ხილვას მიჩვეული ვართ, მაგრამ „ჰიუსტონთან" მატჩზე სტივენ სპილბერგიც მისულა და თავისი ცხრა წლის ვაჟი, სოიერიც მიუყვანია.



# კვანი დისნეიში

მეტად პოპულარული ფიგურულად მოციგურავე მიშელ კვანი, რომელიც ოლიმპიადაზე მესამე ადგილს დასჯერდა, კინოკომპანია „უოლტ დისნეის" საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელი შექნილა. ეს განსაკუთრებული თანამდებობა კვანს გვარიანი მოლაპარაკებების შემდეგ დაუჭერია.

# პუტინმა იმსჯელა

რუსთა პრეზიდენტ პუტინს ნოვო ოგარიოვოს რეზიდენციაში მიუღია ზამთრის ოლიმპიელები და მათთან სჯა-ბაასი გაუმართავს. პუტინს უთქვამს, რომ ეს ოლიმპიადა მავანთ „პროპაგანდის ხელსაწყოდ" აქციეს. პრეზიდენტს მხარმარჯვნივ სხდომიან ფიგურული ციგურაობის ჩემპიონები ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია, რომლებიც, სხვათა შორის, ამერიკელთა კრიტიკის მიუხედავად, უკვე გადაბარგებულან ამერიკული ყინულის ბალეტის ერთ-ერთ შოუში.



REUTERS

# ახალი კრივი

ამერიკულ ტელეკომპანია „ფოქსს" ახალი შოუ მოუგონია. ფოქსელები რინგზე გაიყვანენ და ნამდვილ ბრძოლაში აკრივებენ ერთმანეთთან სკანდალურად ცნობილ ადამიანებს. საპრემიერო წყვილი ქალბატონებისგან შეუდგენიათ: კოლეგის გამმეტებელი ახლო წარსულის ფიგურულად მოციგურავე ტონია ჰარდინგი (მარცხნივ) და პაულა ჯონსი, რომელმაც პირველმა დაიწყო თხრობა ბილ კლინტონთან თავისი სექსის შესახებ. ისინი ერთად ვარჯიშობენ და ამ უქმეებზე იკრივებენ ლოს ანჯელესში.



REUTERS



REUTERS

# ჩარლზი კულტურის სასახლეში

რიო დე ჟანეიროს კულტურის სასახლეში ბურთისთვის ფეხი დაუკრავს უელსის პრინც ჩარლზს, რომელსაც უფრო პოლოს ტრფიალად ვიცნობთ, ვიდრე ფეხბურთის. თუმცა, ინგლისელმა და ბრაზილიაში ბურთი აუცილებლად უნდა გააგოროს. პრინცი ხუთდღიანი ვიზიტით დაძრულა ბრაზილიასა და მექსიკაში, რათა რაღაც სავაჭრო საკითხები განიხილოს.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge